# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 აპრილი, 2014 წელი.

№81 (7462)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# 2008 წლის აგვისტო 2014 წლის აპრილის ბოლოს



5



4

# საქმიანი უსაქმურები და დამუნჯებული უხინჯაკინები

## მაიდანი, შეიძლება, რუსების მოწყობილი იყოს, უფრო სწორად, პროვოცირებული მაინც



3

## 8 შოკისმომგვრელი ფაქტი, რომლის მოყოლის სიმამაცეს მედიას არ ჰყოფნის

6

## ერეკლე კოდუას და გია სირაძეს ბრალი დაუმძიმდათ

2

## რას მოიტანს სახელმწიფო ქონების აღწერა?

9

# არაადეკვატური ხელფასები

9

**◎ დღის ანეკდოტი**

დათა ახალაიამ საბერძნეთის მთავრობას სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი! ნეტავ იმას, ვის ოჯახშიც ეგ შევა მოხუცის მოსავლელად!

## შეგნებულად არ აღგენდნენ სტრატეგიული ობიექტების ნუსხას



7

# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# საქართველოს პრეზიდენტი პრაღაში გაემგზავრა



**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მარგველაშვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ სამიტში მიიღებს მონაწილეობას.**

გიორგი მარგველაშვილი 25 აპრილს სიტყვით წარსდგება კონფერენციაზე მონაწილეთა წინაშე, რომლის სახელწოდებაა „აღმოსავლეთ პარტნიორობა 5 წლის შემდეგ: დრო ახალი სტრატეგიისთვის“.

ამასთან, პრაღაში ვიზიტის ფარგლებში გიორგი მარგველაშვილი სამიტში მონაწილე ყველა ქვეყნის ლიდერს შეხვდება.

სამიტი ორ დღეს გასტანს და მასში მონაწილეობას მიიღებენ მასპინძელი ქვეყნის, ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი, ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქსიანი, ავსტრიის პრეზიდენტი ჰანს ფიშერი, პოლონეთის პრეზიდენტი ბრონისლავ კომაროვსკი და სხვა ლიდერები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შესახებ პირველად 2009 წელს, სწორედ პრაღაში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს სამიტზე ითქვა. აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნები არიან საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელარუსი.

# პრემიერი უცხოელ მინისტრებს მასპინძლობს



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს და ლორან ფაბიუსს უმასპინძლა.**

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამუშაო სადილზე მხარეებმა ნატოსა და ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება.

ისაუბრეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დეტალებზე. ევროპელმა დიპლომატებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ლორან ფაბიუსსა და ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.



საუბარი ასევე შეეხო უკვე დაგეგმილ მაღალი რანგის ვიზიტებსაც — 13 მაისს საქართველოში ჩამოდის საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი. 2 ივნისს კი, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მიწვევით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში მიემგზავრება.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა. პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით , მხარეებმა საქართველო-ისრაელის ურთიერთთანამშრომლობასთან და უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.**

პრემიერმა მადლობა გადაუხადა გიდეონ საარს საქართველოში ვიზიტისთვის, რაც, მისი თქმით, კიდევ ერთი დადასტურებაა ორ ქვეყანას შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობებისა.

შეხვედრაზე მხარეებმა ისტორიული უწოდეს გადაწყვეტილებას ორმხრივი უვიზო რეჟიმის შესახებ. საქართველოს მთავრობის მეთაურის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის ტურიზმისა და ვაჭრობის სფეროში, ასევე ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ არსებულ შეთანხმებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

შეხვედრას ისრაელის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ნეთანელ იზააკი, ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე დაესწრნენ.

# თეა წულუკიანი მასუდ მოჰამედ ალ-ამრის შეხვდა

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მოადგილეებთან გოჩა ლორთქიფანიძესა და მიხეილ სარჯველაძესთან ერთად, ყატარის საკასაციო სასამართლოს და, ამავე დროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მასუდ მოჰამედ ალ-ამრის შეხვდა.**

სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე საქართველოსა და ყატარის მართლმსაჯულების სისტემების შესახებ ისაუბრეს. ყატარში 1994 წლიდან მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც, როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, ამ ეტაპზე საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იუსტიციის სამინისტრო ამჟამად სწორედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნაზე მუშაობს.



სასამართლოს თავმჯდომარემ თეა წულუკიანს აღნიშნულ საკითხში გამოცდილების გაზიარება შესთავაზა. თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრმა მასპინძელი მხარე საქართველოში მოიწვია და მისთვის საინტერესო ყველა საკითხის გაცნობა ადგილზე შესთავაზა.

მხარეების განცხადებით, საქართველოსა და ყატარის სასამართლო სისტემას შორის ამ შეხვედრის შედეგად თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყება.

იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ყატარის ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომიტეტს ეწვია.

თეა წულუკიანმა მასპინძლებს იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებების მიმართულებით გაწეული საქმიანობის, ასევე, საქართველოში, ზოგადად, ამ კუთხით არსებული ვითარებისა და იმ ინსტიტუტების შესახებ უამბო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მიმართულებით მუშაობენ. მინისტრი მასპინძლებს ომბუდსმენის ოფისთან ურთიერთობის დამყარებაში დახმარებას დაჰპირდა.

მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა ვაკრაში სახელმწიფო მომსახურების ცენტრი დაათვალიერეს, სადაც შვიდი სამინისტროს სახელმწიფო სერვისები გაიცემა.

იუსტიციის მინისტრის ვიზიტი ყატარში ორი დღის წინათ დაიწყო. სამინისტროს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ქვეყნის ემირთან, პრემიერ-მინისტრთან, იუსტიციის მინისტრთან, გენერალურ პროკურორსა და სხვა ოფიციალურ პირებთან.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ყატარის ემირს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოწვევა გადასცა. ემირმა მიიღო მოწვევა და გამოთქვა მზაობა, პირველივე შესაძლებლობისთანავე საქართველოს ესტუმროს.

ემირმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებისადმი, მათ შორის, სამართლებრივ და ეკონომიკურ სფეროებში. ამასთან, ემირის ინიციატივით, ყატარის მხარე ფიქრობს ორ ქვეყანას შორის საინვესტიციო და ეკონომიკურ საკითხებში სამუშაო ჯგუფების შექმნას.

**სამართალი**

# ერეკლე კოდუას და გია სირაძეს ბრალი დაუმძიმდათ



**მთავარმა პროკურატურამ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი გახსნა. როგორც უწყებაში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, ვალერი გელაშვილის ცემისა და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტზე, პროკურატურამ ბრალი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორ ერეკლე კოდუას და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს უფროს გია სირაძეს წარუდგინა.**

„ინტერპრესნიუსი“ პროკურატურაში გაკეთებულ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ: „საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გახსნილი იქნა 2005 წელს საქართველოს პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის ცემისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე.

მთავარმა პროკურატურამ 24 აპრილს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, ვალერი გელაშვილის ცემისა და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს ერეკლე კოდუას და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს გია სირაძეს დაუსწრებლად ბრალი წარუდგინათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა ვალერი გელაშვილის ინტერვიუ, სადაც მან ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრებისა და პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის დეტალებზე. აღნიშნულის გამო შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ერეკლე კოდუამ მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლების მონაწილეობით დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა დანაშაულებრივ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის ფიზიკურ ანგარიშსწორებას. ამასთან, ერეკლე კოდუამ დანაშაულში ჩართულ პირთა ხელმძღვანელობა დაავალა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსს გიორგი სირაძეს. ერეკლე კოდუას ხელმძღვანელობით შემუშავებული გეგმის თანახმად, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები სასტიკად უნდა გასწორებოდნენ ვალერი გელაშვილს და დაუფლებოდნენ მის ყველა ნივთს და დოკუმენტს.



2005 წლის 14 ივლისს, წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ.თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოძრავი ვალერი გელაშვილის ავტომანქანის ბლოკირება მოახდინეს და თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს. ერეკლე კოდუას დავალებითა და გია სირაძის ხელმძღვანელობით მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებით ვალერი გელაშვილი ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს და დაუწყეს იარაღის კონდახებით სასტიკად ცემა. აღნიშნული პირები ასევე ფიზიკურად გაუსწორდნენ მისი დაცვის წევრს მალხაზ ცხაკაიას.

სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ერეკლე კოდუას დავალებით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ვალერი გელაშვილს მართლსაწინააღმდეგოდ გასტაცეს კანონიერ მფლობელობაში არსებული Heckler Koch-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მისი ავტომანქანიდან გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები.

ერეკლე კოდუას მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი თავდასხმის შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო ქალა-ტვინის ტრავმა, სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, ნახეთქი ჭრილობა ცხვირის და შუბლის არეში, ასევე ზედა და ქვედა ყბის ძვლების მოტეხილობა.

ერეკლე კოდუას და გია სირაძის აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ფიზიკური პირების უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა.

ე.კოდუას და გ.სირაძეს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თოთხმეტ წლამდე ვადით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების გამოსავლენად“, — განაცხადეს პროკურატურაში.

# მაიდანი, შეიძლება, რუსების მოწყობილი იყოს, უფრო სწორად, პროვოცირებული მაინც

## გვესაუბრება ეკონომიკის დოქტორი დიმიტრი შარაშენიძე

**— რას გვეტყვით უკრაინაში ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობ, ყირიმი უკრაინისთვის დაკარგულია. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში იგი მას ვერ დაიბრუნებს. დასავლეთის მხარდაჭერის მიუხედავად, ამის პერსპექტივა არ ჩანს. ახლა მთავარია, უკრაინამ შეინარჩუნოს ის ტერიტორია, რაც ყირიმის გარეშე დარჩა. რუსეთმა მიიღო ის, რაც მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. შავ ზღვაზე მისი ყოფნა დააკანონა. ახლა ისინი უფრო მეტს ითხოვენ. მათი აზრით, უკრაინაში სიტუაციის დარეგულირება ამ ქვეყნის ფედერალიზაციის გზით უნდა მოხდეს, რაც, უახლოეს მომავალში უკრაინის დაშლას გამოიწვევს. რუსები უკვე ვაჭრობენ ფედერალიზაციის საბაბით, მათი აზრით, მხოლოდ ეს არის ახალი რეალობის გათვალისწინებით (ანუ ყირიმის გარეშე) უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ერთადერთი სწორი გზა. რუსები, ერთი შეხედვით პრობლემის დარეგულირებას ცდილობენ, სინამდვილეში კი მათ, უკრაინის მთელი აღმოსავლეთი ნაწილის მიერთება სურთ. ამ მიზნით, ისინი, დონეცკის, ლუგანსკის, ხარკოვის და რუსებით მჭიდროდ დასახლებულ სხვა რეგიონებში კიდევ უფრო გაამწვავებენ სიტუაციას, შემდეგ კი დასავლეთის ზეწოლით, ალბათ, ამ რეგიონების რუსეთთან მიერთებაზე დროებით უარს იტყვიან, რათა უკრაინა და დასავლეთი შეეგუოს ყირიმის დაკარგვას. ცოტა ხანში კი ისინი, სხვადასხვაგვარი საბაბით აუცილებლად გააგრძელებენ მათ მიერ დასახული გეგმის რეალიზებას. როგორც ჩანს, რუსეთისათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ყირიმის საკითხთან დაკავშირებით დასავლეთი მას მკვეთრად დაუპირისპირდებოდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მისთვის შემაკავებელი ფაქტორი. არ არის გამორიცხული, რომ მაიდნიდან დაწყებული ეს ყველაფერი რუსების მოწყობილი იყოს, უფრო სწორად პროვოცირებული მაინც. დღეს უკრაინა ომის ზღვარზეა. რამდენიმე დღის წინათ ჩეხეთის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ ნატო უნდა ჩაერიოს ამ კონფლიქტში. ეს განცხადება მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთში ეს ვარიანტიც განიხილება. ალიანსის წევრი ქვეყნის პრეზიდენტი ამ განცხადებას მხოლოდ პირადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ალბათ, არ გააკეთებდა. თუმცა, ჩვენი აზრით, დასავლეთი, ამჟამად, რუსეთთან პირდაპირ საომარ მოქმედებაში არ ჩაერთვება, ეს რუსეთმაც კარგად იცის და ამიტომაც არის ასე თავდაჯერებული.

**— რა არსებითი პრობლემები აქვს რუსეთს დღეს?**

— რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, რაც სახელმწიფოს ფუნდამენტია. რუსი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ალფეროვი ამბობს, რომ რუსეთში ორი ინსტიტუტის რეფორმირება არ შეიძლება — მართლმადიდებელი ეკლესიის და მეცნიერებათა აკადემიის. სწორად მიუთითებს,რადგან მართლმადიდებლური რწმენის შერყევა დიდი საფრთხის მომტანია მათთვის. მოსახლეობის დიდი ნაწილი მორწმუნეა, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, ერთიანი არიან ხელისუფლებასთან, იმ საკითხებში, თუ იგი რუსეთის იმპერიულ ცნობიერებას ეხება და გამოხატავს მას. მიუხედავად ამისა, რუსეთში საკმაოდ ხშირად ისმის, რომ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ისლამიზაციის პროცესი.ამჟამად რუსეთში 25 მილიონზე მეტი მუსლიმანი ცხოვრობს. გასული 15 წლის განმავლობაში მათი რაოდენობა გაიზარდა 40%-ით. სპეციალისტების გაანგარიშებით, ამ საუკუნის შუა პერიოდისათვის რუსეთის მოსახლეობის ყოველი მეოთხე ისლამის რწმენის მატარებელი იქნება. დღეს იქამდეა მისული საქმე, რომ მუსლიმანი ლიდერები ხელისუფლებას მოუწოდებს, რუსეთის სიმბოლიკაზე მოიხსნას მართლმადიდებელი გერბი. ანალიტიკოსები მიუთითებენ იმაზეც, რომ თუ ისლამიზაციის პროცესი ასეთი ტემპით განვითარდა, არ არის გამორიცხული, მათ მოითხოვონ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა. რუსეთს სხვა პრობლემებიც მრავლად აქვს, კერძოდ, სოციალური და დემოგრაფიული კუთხით.

**— ამ მხრივ რომელ პრობლემას გამოყოფდით?**

— რუსი მოსახლეობიდან იცლება ცენტრალური რუსეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მხარეები. 158 ათასი დასახლებული პუნქტიდან, ბოლო ათი წლის განმავლობაში მოსახლეობამ 40 ათასზე მეტი სოფელი და დასახლება მიატოვა. გაქრა 14 ათასზე მეტი სოფელი და 200-ზე მეტი ქალაქი. ჩრდილოეთ მხარეში მოსახლეობა 45%-ით შემცირდა. ამასთან, რუსეთის საშუალოსტატისტიკური მკვიდრი წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 18 ლიტრ სპირტს. გაეროს ექსპერტთა დასკვნით, 8 ლიტრი სპირტის მოხმარება იწვევს მოსახლეობის სრულ დეგრადაციას. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ მოსკოვში უკვე ფუნქციონირებს არასრულწლოვანი ლოთი ბავშვებისთვის გამოსაფხიზლებელი დისპანსერი. დაბალია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი. ყოველწლიურად იზრდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში წასვლას. და, რაც მთავარია, მიმდინარეობს რუსი ერის დაბერების პროცესი, რომლის შესწავლაც კომუნისტების დროს დაიწყო და მეცნიერების პროგნოზი არც თუ ისე სახარბიელოა. მე ამ საკითხებზე იმიტომ გავამახვილე განსაკუთრებული ყურადღება, რომ კარგად დავინახოთ რუსეთში, თუ რა სიმწვავით დგას ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები. მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რუსეთმა მაინც გადადგა ნაბიჯი იმპერიის გაფართოების მიმართულებით, რითაც, რუსების დიდი ნაწილის აშკარა მხარდაჭერა დაიმსახურა, მათ სახეებზე ეტყობათ, რა ბედნიერები არიან ყოველივე ამით.

**— თქვენს მიერ მოყვანილი ფაქტები და შეფასებები ძალიან საინტერესოა, მაგრამ ასევე გვაინტერესებს, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში.**

— უკრაინა აბსოლუტურად სწორად იქცევა. ყოველგვარი მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით, მან ტყვიის გაუსროლელად დატოვა ყირიმი. არც ახლა აძლევს რუსეთს იმის საბაბს, რომ სამხედრო დაპირისპირება მოხდეს. ამჟამად დგას საკითხი ქონებასთან დაკავშირებით. ყირიმში მიმდინარეობს უკრაინის საკუთრების ნაციონალიზაცია. საპირისპიროდ, როგორც ჩემთვის ცნობილია, უკრაინასაც აქვს დაწყებული ანალოგიური პროცესი. ექსპერტთა შეფასებით, იგი მნიშვნელოვნად აღემატება ყირიმის ქონებას. მაგალითად, როგორც იცით, ევროპას რუსეთის ნავთობი და გაზი მნიშვნელოვანი მოცულობით მიეწოდება უკრაინის გავლით. ეს საკმაოდ ძვირადღირებული სისტემებია, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მარტო ორ რუსულ ბანკს „ვნეშტორგბანკს“ და „ვი თი ბი ბანკს“, უკრაინის დარჩენილ ტერიტორიაზე აქვს ოთხასამდე ფილიალი და ბევრი სხვა რამ, რომლის ჩამონათვალის ნუსხაც დგება და ეცნობება დაინტერესებულ საზოგადოებას.

**— ჩვენზე როგორ აისახება უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენები?**

— მისასალმებელია მთავრობის მოზომილი დამოკიდებულება უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით. ჩვენ რუსეთთან გვაქვს სადავო ტერიტორიები, რომელიც ანექსირებული აქვს. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება.



ისმის კითხვა, რა შემთხვევაში შეიძლება მისი დაბრუნება? მავანთა განცხადებებით, უნდა დაველოდოთ იმ დღეს, როცა დაიშლება რუსეთი და დავიბრუნებთ ტერიტორიებს. ასეთი პრიმიტიული მიდგომა ბევრი პოლიტიკოსისგან ისმის, რაც საფუძველშივე მცდარია.ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკა არ შეცვლილა კომუნისტების პერიოდიდან, იგი ხან იძაბება, ხან კი დამთბარია. რუსეთის დაშლა მიზნად რომ დაესახათ, ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი, თუნდაც თეორიული თვალსაზრისით, 90-იანი წლების დასაწყისში იყო, მაგრამ დასავლეთი ამაზე არ წავიდა, მოსალოდნელი მძიმე შედეგების გამო. რუსეთს მაშინაც და მით უმეტეს ახლაც, ერთადერთი გამართული სისტემა — ბირთვული იარაღის არსენალი აქვს, რომელსაც იგი იყენებს დასაშინებლად, შანტაჟისთვის, სავაჭროდ. დასავლეთს კარგად აქვს შესწავლილი (ამაზე მთელი ინსტიტუტები მუშაობს დასავლეთში) რუსი კაცის ბუნება, რომელიც ყველაფერს მოიკლებს, მაგრამ ვერ შეელევა იმპერიულ ცნობიერებას და ტერიტორიებს. ამდენად, თუ რუსებმა შეატყო, რომ ამ კუთხით მათ საშიშროება მოელის, კაცმა არ იცის, როგორ მოიქცევა იგი ამ დროს. უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის ვიცე-პრემიერმა როგოზინმა ცალსახად განაცხადა, საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ ატომურ ბომბსო.ეს რომ მათ საკმაოდ ბევრი აქვთ, ამაში არავის ეჭვი არ ეპარება (გასულ წელს რუსეთმა მოძველებული ბალისტიკური რაკეტებიდან ამოღებული გამდიდრებული ურანი 17 მილიარდ დოლარად მიყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური ელექტროსადგურებისთვის). რუსეთის დაშლის იდეა, დასავლეთის ინტერესებში არ შედის. მათ კარგად იციან, რომ რუსეთი არც სამართლებრივად და არც ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდად არ განვითარდება, მაგრამ იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჩინეთთან მიმართებაში. ჯერ ერთი, რომ რუსეთი ბუფერული ზონაა დასავლეთსა და ჩინეთს შორის და, მეორე, რუსეთის დაშლის შემთხვევაში მისი ტერიტორიის წიაღისეულით უმდიდრეს ნაწილს წაიღებს ჩინეთი, რაზეც მას ისტორიულად პრეტენზია აქვს. თუ რა შედეგის მომტანი იქნება ეს, დასავლეთს კარგად აქვს გაცნობიერებული. ამიტომ, რუსეთის დაშლაზე ჩვენი მომავალი არ უნდა ავაგოთ და მასთან ურთიერთობის სხვა გზები უნდა ვეძიოთ.

შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის მიერთებით რუსეთმა დაკარგა უკრაინა, მისთვის ეთნიკურად ყველაზე ახლო ერი. როგორც აღვნიშნე, რუსები მორწმუნე ხალხია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი „დერჟავული“ ცნობიერება უფრო მაღლა დგას, ვიდრე მართლმადიდებელი სარწმუნოება. აბა დაუკვირდით, ყველაზე მეტად ვის მიმართ გამოიყენა ძალადობა, ვის წაართვა ტერიტორიები— საქართველოს, მოლდავეთს და ახლა უკრაინას. რუსეთი არც იმას მოერიდა, რომ, უკრაინა დღემდე რუსეთის ეპარქიაში შედის. ამდენად, იმის მტკიცება, რომ ჩვენთან ურთიერთობის დარეგულირების მიზნით რუსეთი გაითვალისწინებს ერთმორწმუნეობას და, ამასთან,მათი ყველაზე დიდი წმინდანის სერაფიმე საროველის დანაბარებს, რომ არ ებრძოლოთ საქართველოს, რომ რუსეთი პურია, ხოლო საქართველო ღვინოო, ყოველ შემთხვევაში დღეს მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. რუსეთი დღევანდელი გადასახედიდან, ვინმეს ზეწოლით არ დააბრუნებს წართმეულ ტერიტორიებს, თუ მან თვითონვე არ მიიღო ამის გადაწყვეტილება რუსეთი რომ არ შეიცვალა, თვალნათლივია. ამდენად, უნდა გადავხედოთ ჩვენს შესაძლებლობებს, რათა არ აღმოვჩნდეთ უფრო მეტად საშიშ ზონაში. ჩვენი მომავალი ევროპისკენაა მიმართული, რაც, გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გზაზე გადის. ამას მოგვიწოდებს დასავლეთიც და გვაფრთხილებს,არ გადავდგათ ისეთი ნაბიჯი,რომელიც რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს პროვოცირებისთვის. დღეს გამოკვეთილია, რომ თვით დასავლეთიც, სუფთა პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თანდათან ეგუება იმ მოცემულობას, რაც უკრაინას უკავშირდება. პროვოცირების გამოწვევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, შეიძლება, აღმოჩნდეს მაიდნის, ან მისი სახესხვაობის შესაძლო გადმოტანის მცდელობა თბილისში, რაც გაჟღერდა საინფორმაციო საშუალებებით. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის დროული, პრევენციული სახის კომენტარი მოვისმინეთ,რაც ნაციონალების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა, მაგრამ დასაფიქრებელია ის ფაქტი, როცა უმრავლესობის ზოგიერთი წევრი ანალოგიური შეფასებით გამოდის. ასეთი განცხადებები არ ნიშნავს პრინციპულობას, იგი უფრო სხვა რამეზე მიანიშნებს, რაც საზოგადოებას არ გამოპარვია.

**— თქვენ ორაზროვნად მიუთითეთ, რომ ვინმეს ზეწოლით რუსეთი არ დათმობს ჩვენს მიწებს, თუ თვითონ არ მიიღო ამის გადაწვეტილებაო. რა გაქვთ მხედველობაში?**

— 1968 წელს რუსეთის კუთვნილი კუნძულის გამო, რომელიც ჩინეთის საზღვართან მდებარეობს, მოხდა რუსეთ-ჩინეთის სამხედრო დაპირისპირება, რის დროსაც რუსეთმა გამოიყენა ახალი იარაღი და კონფლიქტი ამით ამოიწურა. თუმცა, 1986 წელს გორბაჩოვმა ეს კუნძული, ურთიერთობის დათბობის მიზნით ჩინეთს გადასცა. აი, ეს მქონდა მხედველობაში, რომ რუსეთის მხრიდან არსებობს ასეთი ფაქტი.

**— ესე იგი გვქონდეს იმედი, რომ რუსეთმა შეიძლება კეთილი ნებით დაგვიბრუნოს ტერიტორიები...**

— გააჩნია რუსეთის ნებას, გააჩნია ჩვენს მარიფათს

**— მიგიხვდით. როგორ აფასებთ იმ აზრს, რომ გვაკლია გამოცდილი, პროფესიონალი კადრები?**

— ბოლო პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ.ეკონომიკაში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტივი, რაზეც მიუთითებს ის რომ, მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ, მაინც ექსპორტი იზრდება. ეს დამაიმედებელი ტენდენციაა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობას, როგორც ყველაზე დაზარალებულ დარგს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ისეთი ტრადიციული კულტურების წარმოება, რომლებიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ძირითად საკვებს წარმოადგენს. მათი დიდი ნაწილი იმპორტულია. დარგის სპეციალისტებს, ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველი დღიდან უპირველესად, სწორედ ამ კულტურების წარმოების ზრდაზე უნდა გაემახვილებინათ განსაკუთრებული ყურადღება. მოსახლეობა გამოხატავს დიდ უკმყოფილებას, რომ მისთვის ამ აუცილებელ პროდუქტებზე ფასები მატულობს, მაშინ, როცა უნდა მცირდებოდეს. ამ სეგმენტში პრობლემის მოხსნას არ სჭირდება მთავრობის მეთაურის მითითება ან დადგენილება, ეს ამ დარგის მესვეურებს თავად უნდა გადაეწყვიტათ. რაც შეეხება კადრებს. დიდი აკაკი თავის პატარა ნარკვევში „ღამურა“, თაგვს ათქმევინებს, გამოცდილება ჭკუის გვირგვინიაო. კარგი ნათქვამია. ვინ, სად და რაში გამოიყენებს თავის გამოცდილებას, ეს სხვა საკითხია. მისასალმებელია, როცა პრემიერ-მინისტრი ყურადღებას ამახვილებს წესიერ, გამოცდილ და მცოდნე ადამიანებზე. ეს არ გახლავთ ჰაერში ნასროლი სიტყვა. ალბათ, მან ეს პრობლემა დაინახა მის გარემოცვაში. ახლა გავიხსენებ ერთ შემთხვევას. 2004 წელს ვმუშაობდი სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ბიზნესის ხელშეწყობისა და კოორდინაციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ერთი ბიზნესმენი, რომელიც ითხოვდა დახმარებას, რომ მისთვის სახელმწიფოს მიეყიდა, თემქაზე, სრულიად გაპარტახებული, ყოფილი ეგრეთწოდებული „საფოსტო ყუთის“ რადიოაპარატის ორი შენობა, დაახლოებით ხუთი ათასი კვ.მ საერთო ფართით, სადაც აპირებდა ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამოშვებას, რომელიც, როგორც მაშინ, ახლაც მთლიანად ქვეყნის გარედან შემოგვაქვს. მას ანალოგიური ბიზნესი ჰქონდა ჩინეთში და მალაიზიაში. ერთი სიტყვით, დიდი მცდელობის მიუხედავად, მას ეს შენობები არ მისცეს და სამაგიეროდ შესთავაზეს ანალოგიური ფართი ორხევში, სადაც საქალაქო ტრანსპორტი არ მიდიოდა, რაზეც მან უარი განაცხადა. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ თქვა უარი, მისი პასუხი ასეთი იყო. რადიოაპარატი იყო საბჭოთა კავშირის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც შედიოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში და დაკომპლექტებული იყო უმაღლესი დონის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით. ამათთვის შეიქმნა თემქის დასახლებაო. ბევრი მათგანი, მიუხედავად წლოვანებისა, ყოჩაღად არის და მზადაა, დასაქმდეს მათ ყოფილ *საწარმოში* და მათი ცოდნა და გამოცდილება გადასცენ ახალგაზრდა თანამშრომლებს. მაგრამ მე ვერ ვთხოვ ამ ხალხს, დაახლოებით ორას ადამიანს, ყოველდღე იარონ თემქიდან ორხევში, თუნდაც ჩვენი ტრანსპორტითო. აი, ასეთი ბიზნესმენებია საძებარი, აი, ასეთ ხალხს უნდა შევუწყოთ ხელი და უფრო მეტიც — ჩავაბაროთ ბიზნესის მართვა სახელმწიფოს დონეზე.

**ესაუბრა**
**სანდრო ალექსიძე.**

# საქმიანი უსაქმურები და დამუნჯებული უჩინმაჩინები



**ქართველ კანონმდებელთაგან ყველაზე დიდი ნდობით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე სარგებლობენ. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი შედეგი იმ კვლევამ დადო, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დაკვეთით, 2013 წლის ოქტომბერში ჩატარდა.**

ორგანიზაციის ანგარიში, ერთი მხრივ, დეპუტატთა საპარლამენტო აქტივობას მოიცავს, მეორეს მხრივ კი, ნაჩვენებია, კანონმდებელთა მიმართ საზოგადოებრივი განწყობა.

**კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 25 პროცენტი არც ერთ დეპუტატს არ ენდობა, 51 პროცენტი ნდობით აღჭურვილ კანონმდებელს ვერ ასახელებს, 6 პროცენტი დავით უსუფაშვილს ენდობა, 4 პროცენტი — დავით ბაქრაძეს, 2 პროცენტი — ეკა ბესელიას, თითო-თითო პროცენტი კი ხიდაშელ-დავითაშვილ-კობახიძე-ხმალაძე-ძიძიგურზე გადანაწილდა.**

**თავად პარლამენტს, როგორც ინსტიტუტს, გამოკითხულთა 24 პროცენტი ენდობა, უწყებას 23 პროცენტი არ ენდობა, 43 პროცენტი კი ნაწილობრივ ენდობა და ნაწილობრივ არ ენდობა.**

**ამას გარდა, გამოკითხულთა 46 პროცენტის აზრით, პარლამენტის 150 წევრი საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ზედმეტია, ხოლო 49 პროცენტს მიაჩნია, რომ დეპუტატთა ეს რაოდენობა საკმარისია.**

კვლევით ასევე ირკვევა, რომ **პარლამენტის წევრთაგან 83 პროცენტით ყველაზე ცნობადი ფიგურა დავით უსუფაშვილია, ხოლო საზოგადოება ყველაზე ნაკლებად მაჟორიტარ დეპუტატებს იცნობს. მათ შორის, გამოკითხულთა 50 პროცენტი საკუთარი რაიონის/ოლქის მაჟორიტარ დეპუტატსაც არ იცნობს.**

ალსანიშნავია, რომ **საზოგადოების ნაწილი კანონმდებელთა აქტივობითაც არ არის კმაყოფილი და, როგორც კვლევიდან ჩანს, გამოკითხულთა 53 პროცენტი აქტიურ დეპუტატს ან არ, ან ვერ ასახელებს, 14 პროცენტს მიაჩნია, რომ არც ერთი დეპუტატი არ არის საკმარისად აქტიური, 6 პროცენტის მოსაზრებით, ყველაზე აქტიური ეკა ბესელიაა, 4 პროცენტის თქმით, დავით უსუფაშვილი, 3-3 პროცენტი მიიჩნევს, რომ აქტიურები ხიდაშელი-ბაქრაძე-დავითაშვილი არიან, 2 პროცენტს აქტიურ კანონმდებლად დავით საგანელიძე მიაჩნია, ხოლო თითო-თითო პროცენტი თაქთაქიშვილ-ძიძიგურ-ქუცნაშვილ-ხმალაძეზე გადანაწილდა.**

უნდა ითქვას, რომ კვლევის მიხედვით, ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ **გამოკითხულთა 3 პროცენტს მიაჩნია, რომ ტრიბუნიდან დავით ბაქრაძე იმ საკითხებზე საუბრობს, რომელიც მათთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. გამოკითხულთა 2-2 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ხიდაშელი-უსუფაშვილი-ბესელია-დავითაშვილი საუბრობენ, თითო-თითო პროცენტი კი თვლის, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე კობახიძე-ძიძიგური აქცენტირებენ. ამავე კითხვაზე, გამოკითხულთა 27 პროცენტი პასუხობს, რომ პარლამენტში მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს არავინ აყენებს, ხოლო 55 პროცენტმა ის დეპუტატი ვერ დაასახელა, რომელიც მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას.**

ზემოთ აღნიშნულის გარდა, **გამოკითხულთა 55 პროცენტის მოსაზრებით, პარლამენტის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევა — პოლიტიკური დაპირისპირებაა, 15 პროცენტი მიიჩნევს, პრობლემა ის არის, რომ დეპუტატები არ არიან ხალხის სამსახურში, 10 პროცენტი პრობლემას კანონმდებელთა არაპროფესიონალიზმში ხედავს, 3 პროცენტს კი დეპუტატთა ყოფაქცევა არ მოსწონს.**

**რაც შეეხება დეპუტატთა საქმიანობას პარლამენტში თუ პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობის მიხედვით: ვახტანგ ხმალაძე (217 გამოსვლა), კობა დავითაშვილი (215), პავლე კუბლაშვილი (150), სერგო რატიანი (142) და ზაქარია ქუცნაშვილი (140) ლიდერობენ, 150 კანონმდებლიდან 28 ისეთი დეპუტატია, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში, არც საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლებით და არც პლენარულ სხდომაზე რაიმე ფორმით სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლიათ.**

**მათ შორის უმრავლესობიდან არიან — ლევან ბერძენიშვილი, ვალერი გელაშვილი, მახირ დარზიევი, გოჩა ენუქიძე, ზურაბ ზვიადაური, ალი მამედოვი, თამაზ ყაჭეიშვილი, რევაზ შავლოხაშვილი, თამაზ შიოშვილი, თეიმურაზ ჩხაიძე, როსტომ ხალვაში, თენგიზ ხუბულური და ვიქტორ ჯაფარიძე. უმცირესობიდან სიტყვით არ გამოსულან როლანდ ახალაია, ზაზა კედელაშვილი, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი, აზერ სულეიმანოვი, ლევან ქარდავა, ნიკოლოზ ყიფშიძე და ნაული ჯანაშია. ასევე პარლამენტის ტრიბუნას არ სწყალობენ ნაციონალებიდან წამოსული დეპუტატები - ანზორ ბოლქვაძე, მარიკა ვერულაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ენზელ მკოიანი, გიორგი ფეიქრიშვილი, სერგო ხაბულიანი და იაშა შერვაშიძე.**

მართალია, **კობა დავითაშვილი საკუთარი „ულტიმატუმის“ გამო, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საპარლამენტო საქმიანობას ჩამოშორდა, მაგრამ ის იმ დეპუტატებს შორისაა, რომლებიც ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობის მიხედვითაც ლიდერობენ.**

კერძოდ, **თუ ერთი წლის განმავლობაში, ყოფილმა დეპუტატმა და ამჟამად, უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა 36 ინიციატივა მოამზადა, კობა დავითაშვილმა 35 კანონპროექტის ინიცირება მოახდინა, დავით ონოფრიშვილმა — 33 პროექტის, ირაკლი სესიაშვილმა — 32-ის, გიორგი ცაგარეიშვილმა კი — 22-ის.**

ზემოთ აღნიშნულის გარდა, **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშში განსაკუთრებით საყურადღებო იმ 43 დეპუტატის საქმიანობაა, რომელთაც ბიზნესინტერესები აქვთ.**

ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით, დეპუტატს სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული აქვს და იგი ვალდებულია, უფლებამოსილების განხორციელების დაწყების მომენტიდან სტატუსის შეუსაბამო საქმიანობა შეწყვიტოს.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, 43 დეპუტატს (ან მისი ოჯახის წევრს) 2012 წლის ოქტომბრიდან ჰქონდა ან ისევ აქვს ბიზნესაქტივები.**

**„სამი ისეთი დეპუტატი აღმოჩნდა, რომელთაც არამარტო წილები აქვთ/ჰქონდათ ბიზნესში, არამედ კომპანიის დირექტორებიც იყვნენ პარლამენტში საქმიანობის პარალელურად. ამ დეპუტატთაგან ერთ-ერთი ზვიად კვაჭანტირაძეა, რომელიც დღემდე „გოლდენ ფლის გრუფისა“ და შპს „უნიონ კრედიტის“ დირექტორია. ასევე 2013 წლის 18 ივნისამდე, გიორგი თოფაძე იყო შპს „ყაზბეგი 2005“-ის, ხოლო 2013 წლის 19 ივნისამდე - შპს „ყაზბეგი-ნაყინის“ დირექტორი. მსგავსი შემთხვევა თამაზ ავდალიანის ჩანაწერებშიც დაფიქსირდა, რომელიც 2013 წლის 10 იანვრამდე, შპს „ასკო ლტდ“-ის დირექტორი იყო“, — აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, რომელიც დეპუტატებს კანონის დარღვევაში ადანაშაულებს და პარლამენტს რეაგირებისკენ მოუწოდებს.**

ორგანიზაციის ცნობით, **სხვადასხვა კომპანიაში ბიზნესინტერესები აქვთ დეპუტატებს (ან მათი ოჯახის წევრებს): აკაკი ბობოხიძეს, ალექსანდრე თამაზაშვილს, გელა სამხარაულს, გიგლა აგულაშვილს, გიორგი ბარამიძეს, გიორგი ვოლსკის, გიორგი თოფაძეს, გიორგი კახიანს, გიორგი ჟვანიას, გიორგი ცაგარეიშვილს, გოგი ლიპარტელიანს, გოდერძი ბუკიას, გოჩა ენუქიძეს, ეკა ბესელიას, ერეკლე ტრიპოლსკის, ვახტანგ ხმალაძეს, ვიქტორ ჯაფარიძეს, ზაზა კედელაშვილს, ზაქარია ქუცნაშვილს, ზვიად კვაჭანტირაძეს, ზურაბ ტყემალაძეს, თამაზ ავდალიანს, თამაზ ყაჭეიშვილს, თამაზ შიოშვილს, თემურ მაისურაძეს, იაშა შერვაშიძეს, იოსებ ჯაჭვლიანს, ირინე იმერლიშვილს, კახა ოქრიაშვილს, კობა ნაყოფიას, ლევან ქარდავას, ნიკოლოზ ყიფშიძეს, ნოდარ ებანოიძეს, პაატა კიკნაველიძეს, პაატა ლეჟავას, რევაზ შავლოხაშვილს, სერგო ხაბულიანს, დავით საყვარელიძეს (დედა), ვალერი გელაშვილს (შვილი) და ომარ ნიშნიანიძეს (მეუღლე).**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ შეფასებით, **ქარდავას, შავლოხაშვილის, ყაჭეიშვილის, შიოშვილის, ბუკიას, ლიპარტელიანის, ავდალიანისა და ჯაფარიძის მიერ წარდგენილ წლიური ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში მათი მიმდინარე და წარსული ბიზნესსაქმიანობა არასრულად არის ასახული.**

პარლამენტის ზოგიერთ წევრს ბიზნესინტერესები რომ ამოძრავებს, ეს „შრომის კოდექსის“ მიღებისას გამოჩნდა, როდესაც კახა ოქრიაშვილის ე.წ. „ბიზნესმენთა ფრაქციამ“ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა, მაგრამ, თუ რა რეაგირებას მოახდენს პარლამენტი ორგანიზაციის ანგარიშზე, ეს, სავარაუდოდ, ცნობილი ბიუროს სხდომაზე გახდება.

**ა-ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევას გამოეხმაურნენ გოგი თოფაძე და თამაზ ავდალიანი. უმრავლესობის წევრები ბიზნესში წილების ფლობასა და ბიზნესსაქმიანობაში მონაწილეობას უარყოფენ. გოგი თოფაძე აცხადებს, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ, ყველა ობიექტი შვილს გადააბარა და იურიდიულად მას გადაუფორმა.**

**„ამ შემთხვევაში საუბარია „ყაზბეგი ნაყინზე“ და „ყაზბეგი — 2005“-ზე. ეს ორივე ფირმა 15 წლის წინათ არის გაუქმებული. ჩემი მოადგილე ყოველთვის ჩემი შვილი იყო. ახლა ის გენდირექტორია და ყველაფერი გადაფორმებული მაქვს შვილზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ნახოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები.**

**„ყაზბეგი ნაყინი“ ნაყინის მწარმოებელი პატარა ქარხანა იყო, რომელიც კახეთში გაიხსნა. ერთი სეზონი იმოქმედა — 1997 თუ 1998 წელს და ამის შემდეგ გაუქმდა. მას არც ბრუნვა აქვს და არც მისი ადმინისტრაცია არსებობს. ძალიან ცოტა ხანს მოქმედებდა „ყაზბეგი — 2005“. ვამზადებდით შამპუნს და ესეც დამთავრებულია. ყველა ჩემი ბიზნესი გადაცემული მაქვს შვილზე, რაც დამტკიცებული და დადასტურებულია დოკუმენტალურად. მოქმედებს დაახლოებით 14 ფირმა — ეს არის ქარხნები, სასტუმროები, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, სამონადირეო მეურნეობა და ეს ყველაფერი მართვაში გადაცემულია ჩემს ვაჟიშვილზე, რომელიც ჩემი მოადგილე და მოწილე იყო. ეს კანონით მიღებულია“,** — აცხადებს გოგი თოფაძემ.

თოფაძის მსგავსად, **ბიზნესში წილების ფლობას უარყოფს უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი თამაზ ავდალიანი. მისი თქმით, ფირმა, რომელშიც წილი ჰქონდა, სადღეისოდ არ არსებობს.**

**„მქონდა ფირმა, რომელიც დაფუძნებული იყო 2010 წელს. მან სულ ორი ოპერაცია ჩაატარა და ამის მერე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მოგეხსენებათ, ფირმის რეგისტრაცია ერთ დღეში ხდება, ხოლო ლიკვიდაცია პრობლემაა. პარტნიორი გერმანიის მოქალაქეა და ამის გამოც შეფერხდა ფირმის გაუქმება.**

**ის 2013 წლიდან ჩემს სახლზე არ არის და შესაძლებელია იმის გადამოწმება, რომ რაც დეპუტატი ვარ, არანაირი სამეწარმეო საქმიანობა მას განხორციელებული არ აქვს და არ ფუნქციონირებს“,** — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ **თამაზ ავდალიანმა.** ამასთან, დეპუტატის თქმით, მან „საერთაშორისო გამჭირვალობას“ მიაწოდა დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ სადღეისოდ მასზე არაფერია რეგისტრირებული.

**რაც შეეხება უმრავლესობის კიდევ ერთ წევრს ზვიად კვაჭანტირაძეს. ჩვენ დავუკავშირდით კვაჭანტირაძეს, თუმცა, როგორც წესი, მან ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. ფაქტების შესწავლა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ რა ზომებს მიიღებს პარლამენტი, უცნობია. ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ თუ ადამიანს აქვს სურვილი, რომ პასიური აქტიურში გადაიყვანოს, კანონის დაცვითაც შეიძლება ამის გაკეთება. მისი თქმით, ამ კუთხით, დღეს მოქმედი კანონი არ არის საკმარისად ეფექტიანი.**

**„შეიძლება მინდობილობით გადაცემული გქონდეს, ფორმალურად იცავდე ყველაფერს, მაგრამ არაოფიციალურად ერეოდე და ბიზნესს ალაგებდე. იმიტომ, რომ აქციების რეალური მფლობელი ხარ. მეორე მხრივ, თუნდაც ეს იყოს ფორმალური, ფორმალურად კანონის დაცვა ყველა ადამიანისთვის არის სავალდებულო. ბატონ გოგის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და ძალიან გამიკვირდება, რომ მას ეს ფორმალური მხარე არ ჰქონდეს დაცული. მისგან არის გასაკვირი. სხვებზე ვერაფერს ვერ გეტყვით. შედარებით ახლგაზრდა, გამოუცდელი ახალბედა პოლიტიკოსები ვინც არიან, მათ შეიძლება რამე კაზუსი ჰქონდეთ ამასთან დაკავშირებით“,** — აცხადებს გია ხუხაშვილი.

ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** ამბობს, რომ არსებობენ ორგანიზაციები, რომელთაც ასეთ შემთხვევაში გადაეცემათ უფლებამოსილება პოლიტიკოსის ბიზნესის მართვისა და ვიდრე ასეთი ბიზნესმენი პოლიტიკაშია, იგი იღებს მხოლოდ მოგებას საკუთრი კაპიტალისგან, მაგრამ არაა ჩართული თავად ბიზნესაქტივობაში.

**„ასეთი პრაქტიკაა საზღვარგარეთ. ჩვენთან ბიზნესმენს არ ეკრძალება, გახდეს პოლიტიკოსი, მაგრამ ცხადია, არსებობს გარკვეული ვალდებულებები, რომ მისი თანამდებობა არ იქნას გამოყენებული რაიმე ტიპის ლობირებისთვის საკუთარი ბიზნესისთვის. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მეორე პირობა ყოველთვის სრულდებოდა. წინა პარლამენტში კიდევ უფრო მეტი ბიზნესმენი გვყავდა, ხოლო თქვენს მიერ ჩამოთვლილ დეპუტატებს შორის, მართალი გითხრათ, გამიკვირდა და გამიხარდა ზვიად კვაჭანტირაძის ბიზნესმენობა. ამ ადამიანს დიდი ხანია ვიცნობ, ოღონდ მისი ბიზნესმენობის შესახებ თქვენგან პირველად მესმის“,** — აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

თამთა ქარჩავა, თეონა მანაგაძე

**რატომ წავაგეთ ომი?**



# 2008 წლის აგვისტო 2014 წლის აპრილის ბოლოს

**თვის ბოლოს გაერთიანებული შტაბი თავდაცვის მინისტრს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკური და სამხედრო შეცდომების ანალიზს წარუდგენს. გაერთიანებული შტაბის, თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს წევრებით დაკომპლექტებული ჯგუფი მუშაობას ასრულებს. უკვე ცნობილია, რომ კვლევა თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გასაჯაროვდება.**

ირაკლი ალასანიას უწყებამ ეს თარიღი პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან არიდების მიზნით დაასახელა. თუმცა, ამის მიუხედავად ყოფილ მმართველ გუნდში თვლიან, რომ ამ კვლევის გამოქვეყნება პოლიტიკური მიტივებით არის განპიროვნებული. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საჯარო გახდება კვლევის შედეგის გარკვეული ნაწილი, ნაწილს კი „გრიფი“ დაედება. მინისტრი აცხადებს, რომ ყველა შეცდომა და წარმატება, რომელსაც კვლევა გამოავლენს, საქართველოს თავდაცვის დოქტრინას საფუძვლად დაედება.

**„დოკუმენტზე მუშაობა დასრულებულია და ჩვენ თვის ბოლომდე ველოდებით, რომ წარმოდგენილი იქნება ეს კვლევა ფედერალური შტაბის მიერ ჩემთვის და გავაცნობთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასაც. მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა, შევისწავლოთ ყველა შეცდომა, წარმატება და ეს გახდეს ჩვენი თავდაცვის დოქტრინის გაუმჯობესების საფუძველი. ეს არაა გამოძიება, არამედ ეს არის კვლევა“,** — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

კომისიის შედეგების გამოყვეყნებას ეწინააღმდეგება „ნაციონალური მოძრაობა“. დეპუტატი გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ ამ კვლევის გამოქვეყნება ქვეყისათვის საფრთხის შემცველელია. კანდელაკის განცხადებით, როდესაც მსგავსი დასკვნა უკვე არსებობს, კითხვები ჩნდება კვლევის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

**„ამ საკითხზე კვალიფიციური დასკვნა არსებოს. კარგი იქნებოდა, ამ დასკვნის შესაბამისად დაეწყოთ დოქტრინებზე მუშაობა. 2008 წლის აგვისტოს ომის სამხედრო აქსპექტების შესახებ მომზადდა შესაბამისი გრიფის მქონე, ძალიან კვალიფიციური დოკუმენტი საქართველოს მოკავშირეებთან ერთად. ამ დოკუმენტზე თავდაცვის მინისტრს ხელი მიუწვდება. პოლიტიკოსები, რომლებიც მანიპულირებდნენ და საქართველოს ბრალს სდებდნენ აგვისტოს ომის პროვოცირებაში, დღეს უკვე მოხდა ამ პოლიტიკოსების თვითილუსტრირება“,** — აცხადებს გიორგი კანდელაკი.

განსხვავებული პოზიცია აქვს საპარლამენტო უმრავლესობას. „ქართული ოცნების“ წევრები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ასეთი დოკუმენტი არსებობდეს, რადგან ქვეყანამ უკეთ შეძლოს იმ საფრთხეების შესწავლა და გაანალიზება, რომლის წინაშეც დგას. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მტრულ გარემოში, ამიტომ თავდაცვის სამინისტრო უნდა იყოს ადეკვატური.

**„2008 წლის ომი იყო უდიდესი ტრაგედია და კატასტროფა ქართველი ხალხისთვის, რომლის მიზეზების შესწავლა აუცილებელია. პასუხისმგებლიანი სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ ყველა კითხვა იყოს პასუხგაცემული, იმისთვის, რომ ჩვენ ვიყოთ უნარიანი საზოგადოება, დავუპირისპირდეთ საშინაო თუ საგარეო საფრთხეებს, შევქმნათ წელგამართული ჯარი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. ვფიქრობ, სწორედ ამისთვის დაიწყო 2013 წელს თავდაცვის სამინისტრომ, იმჟამინდელი პრემიერის დავალებით, ამ ტრაგიკული მოვლენების მოკვლევა.**

**თავდაცვის მინისტრმა მგონი, ნათლად განმარტა, რომ თავდაცვის სამინისტრო არ არის საგამოძიებო ან პოლიტიკური უწყება, ის აწარმოებს ამ მოვლენების სამხედრო ასპექტების კვლევას. თავდაცვის სამინისტრო ახლა არის საქმით დაკავებული, განსხვავებით წინა მინისტრისგან“,** — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მისი თქმით, ეს კვლევა თავდაცვის სტრატეგიის დასახვეწად აუცილებელია, რადგან საქართველო საფრთხეების წინაშე დგას.

**„ეს, პირველ რიგში, აუცილებელია თავდაცვის სამინისტროსთვის, იმ სამხედრო კომპონენტის დასახვეწად, რომელიც მუდმივად, ყოველდღიურად უნდა ყალიბდებოდეს და იხვეწებოდეს. ჩვენ ვცხოვრობთ მტრულ გარემოში, ოკუპირებულია ჩვენი მიწების 20%-ზე მეტი, თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში განთავსებულია სეპარატისტების და ოკუპანტების რამდენიმე ბაზა, ასევე, აფხაზეთში მიმდინარეობს იქ მყოფი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო დაჯგუფებების გამალებული შეიარაღება, ამიტომ თავდაცვის სამინისტრო უნდა იყოს ადეკვატური. დიახაც, მან უნდა გამოიკვლიოს ამ საშინელი სამხედრო კატასტროფის მიზეზები“,** — აცხადებს დეპუტატი.

რაც შეეხება ოპოზიციის კრიტიკას, რომ აღნიშნული თემის წამოწევა თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება, ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ კანდელაკის და სხვა უხერხემლოთა განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არ სურს, რადგან ძალიან ვიწრო ხედვა აქვთ და მათი მზე ამოდის და ჩადის სააკაშვილთან ერთად.

**„თუ ისინი იმას შიშობენ, რომ ვინმე ოდესმე მათ პასუხს მოსთხოვს იმაზე, რაც მათმა სამხედრო თუ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩაიდინა ცხინვალის მისადგომებთან, არც უმაგისობა იქნება, იმიტომ, რომ ნებისმიერი თავმოყვარე საზოგადოება და სახელმწიფო ამგვარი კატასტროფის შემდეგ თავის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას პასუხს უნდა სთხოვდეს“,** — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი თეონა აქუბარდია ამბობს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში კომისიამ ასობით სამხედრო მოსამსახურე გამოკითხა, მეორე ეტაპზე მოხდა მოპოვებული მასალის სამხედრო ანალიზი. აქუბარდია თვლის, რომ ამ დოკუმენტს მხოლოდ სამხედო დანიშნულება ექნება და მისი გასაჯაროვება მიზანშეწონილი არ არის.

**„მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ის შეცდომა, რაც დაიდო ამ დასკვნით. როდესაც საუბარია კვლევის საჯაროობაზე, რამდენად ეს იყო სამხედრო კუთხით შესწავლილი, მართებულად არ მიმაჩნია მთლიანი კვლევის გასაჯაროვება“,** — აცხადებს თეონა აქუბარდია.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე თვლის, რომ დანაშაულს არ შეიძლება დაედოს გრიფით საიდუმლო. დანაშაული უნდა იყოს საჯარო და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე. მისივე განცხადებით, როდესაც მინისტრი ამბობს, რომ არავინ არ დაისჯება. მაშინ გაუგებარია რა მიზანი ჰქონდა კომისიის მუშაობას.

**„ალბათ, როდესაც გასაჯაროვდება ეს დოკუმენტი, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ, რასთან გვაქვს საქმე. გააუმჯობესებს თუ არა ეს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობებს. იცით, რომ პარალელურად გამოძიებას აწარმოებს საქართველოს მთავარი პროკურატურა. 2008 წლის მოვლენებს აქვა ორი ასპექტი, პოლიტიკური და სამხედრო. რა თქმა უნდა ეს საკითხი გამოსაძიებელია“,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

**თამთა ქარჩავა**

**სანამ მესამე შედეგი არ დაიდება...**

# ღარიბაშვილმა საყდრისის საკითხს წერტილი დაუსვა

**პრემიერ-მინისტრი ყველას მოუწოდებს, საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით სპეკულაციები დაასრულოს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არავის დაუმტკიცებია, რომ იმ ადგილას იყო უძველესი ოქროს მაღარო.** ამასთან, ქვეყნის პრემიერმა კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას მიმართა, სასწრაფოდ მოაგვაროს ეს პრობლემა.

**„მინდა, მოგიწოდოთ, რომ ამ თემაზე სპეკულირება დაასრულოს ყველამ. აქ ცალსახად ითქვა ყველაფერი — ექსპერტებმა დადეს დასკვნა. მე მოვისმინე თქვენი საუბარი, რომ ეს არის უძველესი ოქროს საბადო. არავის დაუმტკიცებია, რომ ამ ადგილას იყო უძველესი ოქროს მაღარო — ეს არ მტკიცდება. სამაგიეროდ, რამდენიმე თვის წინ ექსპერტების ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა 2 თუ 3 თვის განმავლობაში, დაადასტურეს და შესაბამისი დასკვნა წარუდგინეს მთავრობას, რის შემდეგაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაეგრძელებინა სამუშაოები RMG GOLD-ს.**

**მინდა, მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც წუხან. მესმის მათი წუხილი, თითქოს ძეგლის გადარჩენას ცდილობენ. მინდა, მათ შევახსენო - ამ ორგანიზაციაში დასაქმებულია 3 ათასი ოჯახი და კარგად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება მათ, თუ რაიმე შეფერხება შეექმნება აღნიშნულ კომპანიას“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

უკვე ცნობილია, რომ საყდრისთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით უცხოელი ექსპერტები საქართველოში ერთ კვირაში ჩამოვლენ. კულტურის მინისტრის განცხადებით, ყველაფერი იქნება ისე, როგორც გაწერილია ბოლო დოკუმენტში, რომელიც უკვე ხელმოწერილია.

**„ასევე განხორციელდება ინსპექტირებაც, როგორც წესი და რიგია, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ახორციელებს. ექსპერტები საქართველოში დაახლოებით ერთ კვირაში უნდა ჩამოვიდნენ. ჩვენ მივიღეთ წერილი გერმანიის საელჩოდან. სხვა საელჩოებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან იყო შემოთავაზება. ამიტომ, დავუკავშირდებით ყველას, ვინც შემოგვთავაზა სპეციალისტები, უნდა ჩამოვიდნენ აქ, ყველაფერი ნახონ. მათ საბოლოო დასკვნას ჩვენ ველოდებით. იქნება მონიტორინგი“,** — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

პარალელურად, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის შეფასებით, საყდრისის მაღაროს არქეოლოგიური მემკვიდრეობა ფისკალურ და ბიზნეს-ინტერესებს შეეწირა. მათივე შეფასებით, 2013 წლის 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, წიაღისეულის მომპოვებელი კერძო კომპანიის RMG GOLD-ს მოთხოვნით, ბათილად ცნო საყდრისი-ყაჩაღიანის პრეისტორიული სამთამადნო ძეგლის სტატუსი, ხოლო მოგვიანებით გაუქმდა ძეგლის არქეოლოგიური დაცვის ზონა.

ძეგლი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აღმოაჩინეს, ხოლო 2004 წლიდან ობიქტზე ქართულ-გერმანული ექსპედიცია სისტემატიურ კვლევას აწარმოებს და მიიჩნევს, რომ მაღარო დღემდე გამოვლენილ პრეისტორიულ ოქროს მაღაროთაგან უძველესია და ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. ადგილობრივ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ძეგლს II ათასწლეულის სპილენძის მაღაროდ მიიჩნევს.

ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის შეფასებით, სტატუსის გაბათილება ფორმალურ მიზეზს დაეფუძნა და არ მოხდა მისთვის სტატუსის ხელახლა მინიჭება, რითაც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი დაირღვა. ძეგლების ნუსხიდან ამოღების მიუხედავად, საყდრისი არქეოლოგიური ობიექტის სტატუსს ინარჩუნებს და მასზე სამუშაოების წარმოება მხოლოდ გარემოსა და კულტურის სამინისტროს ნებართვით შეიძლება.

**„2014 წლის 7 იანვარს კომპანია RMG საყდრისში დაიწყო უნებართვო სამუშაოები, ვინაიდან ასეთი ნებართვა არ იყო გაცემული. კერძო კომპანიამ სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი 3-ჯერ არ დაუშვა, რაც არღვევს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ძეგლის გამორჩეული უნივერსალური ღირებულებიდან გამომდინარე, დიდია საერთაშორისო სამეცნიერო წრეების დაინტერესება.**

**მიუხედავად ამისა, 2014 წლის 13 მარტს სამინისტრომ დადებითი დასკვნა გასცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო სამუშაოების საწარმოებლად. არქეოლოგიური მემკვიდრეობა შეეწირა ფისკალურ და ბიზნეს-ინტერესებს, რითაც ერთმნიშვნელოვნად დაირღვა ევროპული კონვენცია არქეოლოგიური ძეგლების დაცვის შესახებ“,** — აცხადებენ ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოში.

ბოლო ინფორმაციით, სადავო ტერიტორიაზე შეიყვანეს მძიმე ტექნიკა, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. ადგილზე რჩებიან აქციის წევრებიც. საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრების განცხადებით, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ განუცხადა, რომ ადგილზე ჩავა არქეოლოგი გოდერძი ნარიმანაშვილი და მონიშნავენ იმ ადგილს, სადაც დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება. როგორც აქციის მომაწილეები აცხადებენ, სანამ არ დაიდება კომპეტენტური კომისიის დასკვნა, აქცია არ დაიშლება.

საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრების განცხადებით, გურამ ოდიშარია რეალურად არის დაინტერესებული პრობლემის რაციონალური მოგვარებით, რასაც ვერ ვიტყვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელ ბატონ ნიკოლოზ ანთიძეზე, რომელსაც, უკვე აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია საყდრისის სტატუსთან დაკავშირებით, რაც უცილობლად შეუშლის ხელს იმ მონიტორინგის ნაყოფიერად შესრულებაში, რომელიც მას მინისტრმა დააკისრა.

შესაბამისად, კომიტეტი ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს ნიკოლოზ ანთიძეს უნდობლობას უცხადებს. საზოგადოებრივი კომიტეტი იმედს იტოვებს, რომ მინისტრის ყველა დაპირება, უმოკლეს ვადაში, დოკუმენტალურად გაფორმდება და სწრაფად დაიწყება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

**„როგორც იცით, ჩვენ დავიწყეთ კოშკურის მშენებლობა, რომელშიც მორიგეობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაიდება მესამე შედეგი, ანუ გასაჯაროვდება დასკვნა იმის შესახებ, ეს არის თუ არა ძეგლი საერთაშორისო საზოგადოებისათვის“,** — აცხადებს დავით ყურაშვილი.

საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი, აცხადებენ, რომ სანამ არ შეჩერდება სამუშაოები სადავო ძეგლის გარშემო, არ მოხდება სტატუსის განსაზღვრა და დასკვნების დადებამდე, მანამდე კარვების დაშლას არ აპირებენ.

**ქეთინო თათელაძე**

## რა ხდება ნეტარ ამერიკაში?

# 8 შოკისმომგვრელი ფაქტი, რომლის მოყოლის სიმამაცეც მედიას არ ჰყოფნის




**ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი, ფაქტებზე დაფუძნებული „სერიოზული ცნობა“, რომლის შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საკუთარი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უნდა გიამბობდნენ. თუმცა, შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული პრესა მათ გვერდს უვლის.**

**1. რეცესიის დაწყებიდან ამერიკის შეერთებული შტატები 34 ტრილიონი დოლარით გამდიდრდა. მოსახლეობის 93 პროცენტს აქედან თითქმის არაფერი მიუღია**

ამ მაჩვენებლის თანახმად, თითოეულ ამერიკელს დაახლოებით 100 000 დოლარი ერგება. თუმცა, იმ ადამიანებმა, რომლებსაც აქციების უმრავლესობა ეკუთვნის, თითქმის ყველაფერი მიითვისეს. მათ მიერ მიღებული შემოსავლების საშუალო მაჩვენებელმა მილიონ დოლარს გადააჭარბა – გადასახადების გარეშე, თუკი ისინი თავიანთ აქტივებს არ ანაღდებენ.

**2. 8 მდიდარმა ამერიკელმა ბევრად მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე 3,6 მილიონმა ამერიკელმა, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს**

ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ სრულ განაკვეთზე მომუშავე ვერცერთი დასაქმებული ადამიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს, ვერ შეძლებს ისეთი ბინის დაქირავებას სამართლიან საბაზრო ფასად, სადაც ერთი ან ორი საძინებელია. ასეთი კი 3,6 მილიონი ადამიანია, ხოლო საშუალოდ მათი ხელფასი 2013 წელს იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე 8 ამერიკელის შემოსავალი მიღებული ამავე წლის საფონდო ბაზრიდან – წილი, რომელიც მათ ერგო საზოგადოებისაგან არათანაზომადად დიდია. ესენი არიან: უოლტონების ოჯახის ოთხი წევრი, ქოუქების ოჯახის ორი წარმომადგენელი, ბილ გეითსი და უორენ ბაფეტი.

**3. საინფორმაციო წყაროები მოსახლეობის მხოლოდ 5%-ის მოსაზრებას გამოხატავენ**

გამამხნევებელი ეფექტი ექნებოდა გულწრფელი საპირველგვერდო სტატიის წაკითხვას სათაურით: „ჩვენ ძალიან ვაფასებთ ჩვენი მკითხველების 5% ან 7%-ს, რომლებიც დიდ ფულს შოულობენ და მიაჩნიათ, რომ მათი მზარდი სიმდიდრე დანარჩენებს ეხმარება“.

ამის ნაცვლად, მოგებაზე ორიენტირებულ მედიასაშუალებებს, როგორც ჩანს, საერთოდ არ ძალუძთ განასხვაონ 5% და საზოგადოების დანარჩენი ნაწილი. გაზეთი Wall Street Journal აღნიშნავს: „საშუალო კლასის ამერიკელებს დღეს აქვთ მეტი მსყიდველობითი უნარი, ვიდრე ოდესმე“, და შემდეგ განაგრძობს თავის გაუგებარ ტექსტს: „რა რეცესია?.. ეკონომიკამ სული მოითქვა რეცესიისაგან, უმუშევრობა მცირდება“.

გაზეთმა Chicago Tribune-მა, რომელმაც, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაკარგა კავშირი თავის ნაკლებად პრივილეგირებულ მკითხველთან, ეკითხება მათ: „რა არის საშიში იმაში, თუკი ასეთი დიდი ფული დაიხარჯება საპრეზიდენტო კამპანიაში?“

**4. სატელევიზიო ცნობები ამერიკელი მაყურებლისთვის უკიდურესად შეზღუდულია**

2009 წელს გამოცემის European Journal of Communication-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში შეერთებული შტატები შედარებულია დანიასთან, ფინეთთან და დიდ ბრიტანეთთან ინფორმირებულობის თვალსაზრისით საშინაო ახალ ამბებზე საერთაშორისო ახალ ამბებთან შედარებით, ასევე „სერიოზული“ ახალი ამბების მხრივ (პოლიტიკა, სახელმწიფო მართვა, ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნოლოგიები) „რბილ“ ინფორმაციასთან (ცნობილი ადამიანები, დიდ აუდიტორიაზე გათვლილი სტატიები, სპორტი და გართობა) შედარებით.

შედეგები:

ამერიკელები განსაკუთრებით ცუდად არიან ინფორმირებული საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში.

ამერიკელმა რესპონდენტებმა აჩვენეს ძალიან სუსტი შედეგი სერიოზულ საშინაო ახალ ამბებთან დაკავშირებით.

ამერიკული ტელევიზია მნიშვნელოვნად მცირე ინფორმაციას გასცემს საერთაშორისო ახალი ამბების შესახებ, ვიდრე ფინური, დანიური და ბრიტანული ტელევიზიები.

ამერიკული საინფორმაციო სატელევიზიო ქსელის გადაცემები მოიცავს გაცილებით ცოტა სერიოზულ ინფორმაციას, ვიდრე ფინეთის ან დანიის ტელევიზიები.

ამ კვლევაში, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აღნიშნულია, რომ „ჩვენ მიერ არჩეული ამერიკული გაზეთები ორიენტირებული იყვნენ სერიოზულ ახალ ამბებზე, ვიდრე ბეჭდური გამოცემები ევროპულ ქვეყნებში“. უბედურება ის არის, რომ ამერიკელები სულ უფრო ნაკლებად კითხულობენ პრესას.

**5. მედიის ხელმძღვანელების (იმ თეთრი მამაკაცებიდან, რომლებიც შობადობის ბუმის პერიოდის თაობას მიეკუთვნებიან) ვალი საზოგადოების მიმართ ტრილიონობით დოლარს აღწევს.**

მთელი ეს ხმაური „ადამიანზე, რომელმაც საკუთარი თავი თავად შექმნა“ (self-made man) წმინდა წყლის ფანტაზიაა. 1970-იანი წლების დასაწყისში, ჩვენ, პრივილეგირებულმა თეთრკანიანმა მამაკაცებმა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები დავამთავრეთ, და ჩვენ უკვე გველოდა სამუშაო ადგილები მენეჯმენტის და ფინანსების დარგში, ხოლო ტექნოლოგიები ფულის შოვნის ახალ საშუალებებს გვიქადდა, გადასახადების შემცირების პერსპექტივას გვიხსნიდა, ხოლო ჩვენს წარმოსახვაში, უკვე ვხედავდით ბონუსების და საკუთარი კაპიტალის ზრდას.

როდესაც ჩვენ სტუდენტები ვიყავით, თავდაცვის სამინისტრო ამზადებდა ინტერნეტს Microsoft-ისა და Apple-სათვის, ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა საინიციატივო ჯგუფი ციფრული ბიბლიოთეკების შექმნის პროგრამის რეალიზაციისათვის – ამ პროგრამის შედეგები Google-ის მოდელის საფუძვლად გამოიყენეს, ხოლო ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი წინასწარ ტესტირებას გადიოდა ისეთი კომპანიებისათვის, როგორიცაა Merck და Pfizer

სამთავრობო კვლევითმა ლაბორატორიებმა და სახელმწიფო უნივერსიტეტებმა მოამზადეს ათასობით ქიმიკოსი, ფიზიკოსი, პროგრამისტი, ინჟინერი, საწარმოო ხაზების შექმნის სპეციალისტები, ბაზრის ანალიტიკოსები, ლაბორანტები და ასე შემდეგ.

საკუთარი ძალებით კი ჩვენ მხოლოდ ზედაპირული დამოკიდებულების ჩამოყალიბება შევძელით – სტივ ჯობსმა რომ თქვა, ისეთის: „ჩვენ არასდროს გვრცხვენოდა დიდი იდეების მოპარვის“.

**6. მცირდება სკოლების და პენსიის დაფინანსება, რადგან კორპორაციები გადასახადებს არ იხდიან**

სამმა სხვადასხვა კვლევამ ცხადყო, რომ დღეს კორპორაციები იმის ნახევარზე ცოტას იხდიან, რასაც მათგან სახელმწიფო მოითხოვს, რაც სასკოლო განათლების და საპენსიო დაფინანსების მნიშვნელოვანი შემადგენლის საფუძველია. ახლახან, ანგარიშში სათაურით „კორპორაციების საგადასახადო ბაზა, რომელიც ქრება“ აღნიშნული იყო, რომ კორპორატიული შემოსავლების პროცენტი, რომელიც გადახდილია როგორც სახელმწიფოს მოგების გადასახადი, 1980 წლის 7%-დან დღეს 3%-მდე შემცირდა.

**7. შეერთებულ შტატებში განთავსებული კომპანიები საკუთარი გადასახადების დიდ ნაწილს საზღვარგარეთ იხდიან**

კომპანია Citigroup-მა 2011-2013 წლებში საკუთარი შემოსავლების 42% ჩრდილოეთ ამერიკაში (დიდწილად აშშ-ში) მიიღო, ხოლო მისმა მოგებამ 32 მილიარდი დოლარი შეადგინა. იმავდროულად, მთელი ამ სამი წლის განმავლობაში მას გააჩნდა მოგების გადასახადის შემცირების უფლება.

2011-2013 წლებში კომპანია Pfizer-ის მოგებამ 40% შეადგინა და მისი აქტივების თითქმის ნახევარი შეერთებულ შტატებში იყო, მაგრამ განაცხადა, რომ აშშ-ში მისმა წაგებამ თითქმის 10 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო უცხოეთში მისი მოგება თითქმის 50 მილიარდი დოლარი იყო.

2013 წელს, კომპანია Exxon-ს მენეჯმენტის 43%, გაყიდვების 36%, გრძელვადიანი აქტივების 40% და მისი მოქმედი ნავთობის და აირის საბადოების 70%-90% შეერთებულ შტატებში გააჩნდა, თუმცა, საერთო მოგებიდან მხოლოდ 2% გადაიხადა მოგების გადასახადის სახით აშშ-ში, ამასთანავე, გადახდილი თანხების დიდ ნაწილს შეგვიძლია „თეორიული“ გადასახადი ვუწოდოთ.

**8. რესტორნებში მიმტანებს უკვე 30 წელია, რაც ხელფასს არ უზრდიან**

მიშელ ჩენის შეფასებით, იმ ადამიანების მინიმალური ხელფასი, რომლებიც სამსახურში დამატებით ნაჩუქარ ფულს იღებენ, 1980-იანი წლებიდან საათში დაახლოებით 2 დოლარია. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ადამიანთა 40% ფერადკანიანია, ხოლო მათი ორი მესამედი – ქალი.

**პოლ ბაქჰაიტი,**
**„Salon“.**

## კაკალ გულში

● ბავშვებმა მანქანის უკანა სავარძელზე, შეიძლება გამოიწვიონ უბედური შემთხვევები, ხოლო მანქანის უკანა სავარძელზე შემთხვევებმა შეიძლება გამოიწვიონ ბავშვები.

● მინაშვილმა არასპრავედლივი „არა“ მომხვდაო... ცარცზე გამაგზავნა უსუფაშვილმა და მაშინ ამოიკითხეს სიაო.

● მოკლედ, სუ რო მეურნეობის პელე იყოს ნარმანია, არ მინდა მერად და რა ვქნა? აიი შეხედავ და... არაა რა.

● გასაკრავი უნდა გაიკრას! თუ არა და ვინც არ გააკრა, იმას გააკრავენ! ცაგარეიშვილო გეყურებაა, თუ ნამეტანი ჩახუჭუჭებული ტექსტია?

● განსაკუთრებით საინტერესო გახდა, ამ ბოლო დროს, დედმამიშვილების თემა პოლიტიკაში!

შეიძლება, გოიმი ვარ, შეიძლება, უტვინოც ვარ, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება, დედმამიშვილები რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკში იყვნენ!

ამ აზრამდე, ირაკლი კაკაბაძის გუშინდელმა ტელეეთერმა მიმიყვანა. ნამდვილად გაუგებარია მისი და ნინიას, მიშასი და ვანოსი ჩემთვის. უფრო სწორად რომ ვთქვა, აბსოლუტურად გასაგებია, რომ არც ერთი ეს ადამიანი

### წერტილოვანი ფრაზები

და სხვა მათი მსგავსი, სანდო არ არის, რადგან, როდესაც კაცი დედმამიშვილს არ უდგას გვერდში და თან ამით ამაყობს კიდევაც (ჩვენ დემოკრატიული ოჯახი გვაქვსო), იმ კაცს მეგობარი და თანამებრძოლი, ბოდიში და, „ფეხებზე არ ეკიდება“? პირადად მე, ჩემს ალალ ძმას (ღმერთმა დაიფაროს, ცუდი საქმისგან), პოლიტიკაში კი არა, ჯოჯოხეთში წავყვები და მის გასაკეთებელს გავაკეთებ. ვიცი, იგივე აზრზეა ისიც. ასე გვესმის ჩვენ ძმობა და არა მგონია, ვცდებოდეთ!




● გავაბითურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი!

● ერთი ხელი ჟურნალისტებისკენ გვაქვს გაშვერილი - არაპროფესიონალებს და ტენდენციურებს ვუწოდებთ. მეორე ხელით კი ვიღაცებს ვაგინებთ ამ ჟურნალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მე მგონი, ცოტა თანამიმდევრულები რომ ვიყოთ, უკეთესი იქნება.

● დღისით გამოვედი ქუჩაში „პონჩიკის“ საყიდლად და აუჩქარებელი ნაბიჯით გავიარე „თავისუფლების“ მეტროდან სასტუმრო „მარიოტამდე“.

და დავითვალე ხუთი მათხოვარი.

წინა კვირას იქ ოთხი მათხოვარი იყო.

ასე თუ გაგრძელდა და თითო კვირას თითო მათხოვარი თუ დაემატა, ერთი წლის შემდეგ ორმოცდათვრამეტი მათხოვარი იფუნქციონირებს ამ მონაკვეთზე.

დროა, მათხოვრობის სამინისტრო თუ არა, სააგენტო მაინც შეიქმნას, რადგან ძალიან პროგრესირებადია ეს სოციალური მოვლენა.

ამჯერად ხუმრობა იქით იყოს, ხომ?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

# შეგნებულად არ ადგენდნენ სტრატეგიული ობიექტების ნუსხას

**სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალის შედგენა სახელისუფლებო წრეებში ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს დაიწყო. მაგრამ მას საკმაოდ გავლენიანი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. როგორც ექსპერტები ასკვნიან, მოწინააღმდეგეებს შორს მიმავალი გეგმები ამოძრავებდათ. ისინი თვლიდნენ, რომ „მოქალაქეთა კავშირი" ხელისუფლებაში კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა (ასევე მიაჩნდათ „ნაცებსაც" – ზ. ბ.) და უპრობლემოდ, კაპიკებში შეძლებდნენ მსუყე ობიექტების ხელში ჩაგდებას. მათ შეძლეს თავისი გაეტანათ. სიტუაცია იმ დონემდე გამწვავდა, რომ საქმეში „კანონიერი ქურდებიც" კი ჩაერივნენ (დრო იყო მაშინ ასეთი).**



იმ დროს ჩასაფრებულ მდგომარეობაში მყოფი სააკაშვილი თავისი გუნდითურთ სხვა უამრავ კრიტიკულ შენიშვნასთან ერთად შევარდნაძის ხელისუფლებას ქვეყანაში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ნუსხის არარსებობასაც უკიჟინებდა.

## ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ

**ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე „ვარდებით" შეჭრისა და იქ ატეხილი ცემა-ტყეპის შედეგად (როდესაც სიტყვით გამოდიოდა საქართველოს პრეზიდენტი) უკანონოდ დანიშნული ნახევრად არჩევნების (ძალაში დატოვეს მაჟორიტარების ძველი არჩევნების შედეგები და მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩაატარეს არჩევნები) შედეგებით საკანონმდებლო ორგანოში დიდი უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის" წევრები მოკალათდნენ. მიუხედავად სააკაშვილის გუნდრუკის მკმეველი „ექსპერტების", „სპეციალისტების", ლობისტი უცხოელი დიპლომატების დიდი მცდელობისა, განვლილისთვის მიეცათ „ვარდების რევოლუციის" კვალიფიკაცია, ნამდვილმა და მიუკერძოებელმა გავლენიანმა დიპლომატებმა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს კლასიკური გაგებით მისცეს შეფასება „სახელმწიფოებრივი გადატრიალება" (ყოველგვარი ვარდების გარეშე – ზ. ბ.).**

ყველა განვითარებულ და ამ გზაზე მდგომ სახელმწიფოს აქვს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დამტკიცებული სია. მათთვის არსებობს მკაცრი კრიტერიუმები და მათი გასხვისება უმკაცრესად კონტროლდება.

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსული „ნაცები", რომლებიც ამგვარი ობიექტების ჩამონათვალს არარსებობისთვის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ შევარდნაძის ხელისუფლებას, მოულოდნელად დადუმდნენ. ცოტა ხანში კი ეკონომიკურ საკითხებში მრჩევლად და ამ კუთხით იდეოლოგად მოგვივლინეს მოსკოვში საეჭვოდ გამილიონერებული კახა ბენდუქიძე, რომლის ცხოვრებისეული კრედო ასეთია: **„ყველაფერი იყიდება, ნამუსის გარდა"**.

„ვარდოსანთა" ელიტამ ამგვარი ეკონომიკური ხაზის გატარება უმალ სათავისოდ გადახარშა. ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, თვითონ კი მიადგნენ ისეთ ობიექტებს, რომელთაც კარგი მეურნისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსთა ხელში აუცილებლად ექნებოდათ ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსი.

ზუსტად ამ გარემოს შექმნა სჭირდებოდა ნაცელიტას და უმოწყალოდ დაიწყო უმნიშვნელოვანესი ობიექტების გაყიდვა: „მადნეული", „თბილგაზი", „თბილწყალი", თბილისის აეროპორტი, ბათუმის აეროპორტი, რომელიც ისეთი პირობებით გაასხვისეს, რომ დღეს ის თურქეთის შიდა მომსახურების აეროპორტია და ა. შ. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ცხადია, ამ კომერციული გარიგებებიდან ბიუჯეტში შესული თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე არავინ გვეტყოდა სიმართლეს. ბიუჯეტი ტაბუდადებული საკითხი იყო. მას მხოლოდ უმაღლესი ეშელონებიდან 3-4 კაცი განკარგავდა. სახელმწიფო ხაზინა გაიგივებული იყო „ნაცმოძრაობის" შემოსავლებთან და მასში ხელს მხოლოდ უმაღლესზე ზემდგომი თანამდებობის პირები აფათურებდნენ. საზოგადოებას აინტერესებს სად წავიდა, რაში გახარჯა, თუნდაც უმნიშვნელოვანესი ობიექტებიდან შემოსული ასეულობით მილიონი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო სამართალდამცავები ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებენ.

## რა ხდება დღეს

**2014 წლის დასაწყისში ეკონომიკურ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წამოაყენა წინადადება სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის შედგენის თაობაზე.**

ინიციატივას „მავნებლობა" უწოდა ყოფილმა ეკონომიკისა და შემდგომ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ: **„ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეკონომიკაში ვავლებთ წითელ ხაზს ჩვეულებრივ ბიზნესს. უკვე აღარ შეუძლია საქმიანობა ამ წითელ ხაზს იქით, ამ სიაში დავუშვათ არის ანძა (იგულისხმება სატელევიზიო ანძა – რედ.), ხვალ კი ამ სიაში შეიძლება რაღაც საწარმო აღმოჩნდეს. გაუგებარია, რისი მიღწევა გვინდა? თუ ჩვენ გვინდა, რომ კონკრეტულ ობიექტს დაუწესდეს რაღაც შეზღუდვები, ამისათვის არ არის საჭირო ამ სიის შექმნა, ამისთვის შეიძლება შემუშავდეს წესი"**. აცხადებს „ნაცმოძის" მთავარი იდეოლოგ-ეკონომისტი კახა ბენდუქიძე. მისთვის, როგორც ჩანს, დევიზი – იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა – კვლავაც ცხოვრებისეულ კრედოდ რჩება (რა ვქნათ: არ გათეთრდების ყორანი... ზუსტად მიესადაგება ამ სიტყვების ავტორს – **ზ. ბ.**).

რაოდენ საინტერესოც არ უნდა იყოს, პრემიერის ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით არც მთავრობაში შეხვდნენ. თავდაპირველად საკითხზე ქონების ეროვნული სააგენტო მუშაობდა. სპეციალურად შედგენილ კომისიას ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიაშვილი ჩაუდგა სათავეში. მაგრამ თვით სპეციალისტებისთვისაც უცნობია დანარჩენები. ცნობილია მხოლოდ შალვა თადუმაძის გვარი.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, მისთვის უცნობია მუშაობს თუ არა მთავრობა სტრატეგიული ობიექტების განსაზღვრაზე. და თუ მუშაობს, განხილვის რა ეტაპზეა საკითხი.

ნუსხის შედგენა გადაუდებელ, აუცილებელ საკითხად მიაჩნია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. მსგავსი ჩამონათვალი მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსაც აქვთო, აცხადებს მინისტრი.

თავის მხრივ მთავრობის საპარლამენტო მდივანი აცხადებს, რომ პარლამენტს პირველ ეტაპზე მთავრობამ უნდა მიაწოდოს ობიექტების ჩამონათვალი, რის შემდეგაც სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული ობიექტებისათვის შესაბამისი რეგულაციები დადგინდება.

როგორც ჩანს, არც ახალი მთავრობაა დიდად დაინტერესებული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დადგენით. მიუხედავად იმისა, რომ ამის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისგან მოდის.

**ზაზა ბილიხოძე**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (#802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემის I და სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია (III ეტაპი), გორის და კასპის რაიონები,** კონტრაქტით **№:*A/W/NCB-2014/04***

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **5 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 24 აპრილიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**
**ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;**
**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.**

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2014 წლის 15 მაისის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**
**საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი**
თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

## ალიან-ჩალიანი

### რუსეთში გერმანული სამხედრო პროდუქციის ექსპორტი შეწყდა

**უკრაინაში არსებული ვითარების გამო, გერმანიის ხელისუფლებამ რუსეთში სამხედრო პროდუქციის ექსპორტი შეწყვიტა. ამის შესახებ Deutsche Welle-ს რუსული სამსახური გერმანულ გამოცემა SeudeutscheZeitung-ზე დაყრდნობით იუწყება.**

**– უკრაინაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით რუსეთში სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ექსპორტზე თანხმობა არ გაიცემა, – ნათქვამია გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.**

**„გერმანული გამოცემის ცნობით, უკვე დაიბლოკა რუსეთში სამხედრო პროდუქციის ექსპორტზე 69 მოთხოვნა, რომლის საერთო ღირებულება 5,18 მილიონ ევროს შეადგენს.**

**ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა იარაღს, არამედ სხვა სახის სამხედრო პროდუქციას, თუმცა, პროდუქციის სახეობა არ კონკრეტდება.**

### ხაჩიძის არასერიოზული „ექსპერიმენტი"

**შინაგან საქმეთა სამინისტროში საპარლამენტო უმცირესობის წევრის გოგა ხაჩიძის „ექსპერიმენტს" არასერიოზულს უწოდებენ.**

**როგორც სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე პრემიერ-მინისტრის სახლთან შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ყოველთვის არიან მობილიზებული.**

**– ეს არის არასერიოზული ექსპერიმენტი მისი მხრიდან, რადგან პრემიერის სახლთან, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, ყოველთვის ხდება პერიმეტრის დაცვა და იქ ყოველთვის არიან მობილიზებული შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. ეს არის ჩვეულებრივი ამბავი, – განმარტა ნინო გიორგობიანმა.**

**დეპუტატი გოგა ხაჩიძე ამტკიცებს, რომ პარლამენტარების სატელეფონო საუბრებს უსმენენ. როგორც ხაჩიძე ამბობს, ამას ექსპერიმენტი ადასტურებს, როდესაც დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძეს დაურეკა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საცხოვრებელ სახლთან „დაგეგმილი აქციის" შესახებ ესაუბრა. ამის შემდეგ, როგორც ხაჩიძე ამბობს, ღარიბაშვილის სახლთან, მოსეშვილის ქუჩაზე სამართალდამცველები გამოჩნდნენ.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი:
# მე დასავლელმა პარტნიორებმა დამიცვეს



**საქართველოს ექსპრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებას სანქციებით დაემუქრნენ**

**საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა მისი დევნის იდეებზე დასავლეთის ზემოქმედების გამო.** კერძოდ, სააკაშვილი აცხადებს, რომ დასავლელი ლიდერები დაემუქრნენ საქართველოს ექსპრემიერს, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს, რომ გაყინავენ მის უცხოურ ანგარიშებს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილს დააპატიმრებს.

**„გახსოვთ, მათ თქვეს, რომ დაუყოვნებლივ დავაკავებთ სააკაშვილსო, თუკი იგი არ გამოცხადდება დაკითხვაზე, მაგრამ ეს ყოველივე ორი დღის შემდეგ უკან გაიწვიეს. თქვენ ფიქრობთ, რომ მოულოდნელად ისინი სინდისმა შეაწუხა, თუ გონება გაუნათდათ? არავითარ შემთხვევაში. ამერიკის მეტად მაღალი თანამდებობის პირმა დაურეკა ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრს, შემდეგ ელჩი მივიდა წერილით და მათ უთხრეს, რომ თქვენ, მგონი, ვერაფერი გაიგეთ, თუ ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი რატომ ლაპარაკობდა ასე ხანგრძლივად ღარიბაშვილთან, რომ ეს არ გაეკეთებინათ...**

**უთხრეს, აიო, თქვენ ძალიან გაბრაზებული ხართ და ეს ძვირად დაუჯდება მოქმედ მთავრობასო“,** — ისაუბრა სააკაშვილმა 22 აპრილს ნიუ-იორკიდან პრეზიდენტის ბიბლიოთეკის პრეზენტაციის დროს, რომელიც თბილისში აიგო მისი ინიციატივით, კერძო შემოწირულობებითა და მიხეილ სააკაშვილის ოჯახის სახსრებით.

**„უფრო მეტიც, მათ უთხრეს, რომ დააწესებენ სანქციებს პირადად ივანიშვილზე... გაყინავენ მის ანგარიშებს, გადასინჯავენ მის საფრანგეთის ქვეშევრდომობას, იგი ვერ შეძლებს გადაადგილებას და გაუჩნდება პრობლემები... ამავე დროს, ევროკავშირმა მოამზადა განცხადება, რომ ხელშეკრულება საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ სულაც არ იქნება ავტომატური, თუ ეს საქმე გაგრძელდება... ასე რომ, ასეთი იყო დავები. რატომ იქცევიან ასე ამერიკელები და ევროპელები? მათ უკიდურესად კარგად იციან, რომ არანაირი კავშირი არ მქონია კორუფციასთან ან სხვა რაიმე დანაშაულობებთან“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 27 მარტს სააკაშვილი გამოიძახეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე მოწმის სახით მთელ რიგ საქმესთან დაკავშირებით. ექსპრეზიდენტმა, რომელიც ამჟამად ტაფტსის უნივერსიტეტში ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართალდაცვის სკოლაში მასწავლებლობს (იგი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრია საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში), განაცხადა, რომ არ აქვს განზრახული, ჩავიდეს თბილისში. ყოფილი პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ, საქართველოს პროკურატურაში მოწმის სახით მისი გამოძახებით ხელისუფლებას განზრახული აქვს, შეასრულოს პუტინის „მითითება“ მისი დაპატიმრების შესახებ.

მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა შეძლო, გაეყიდა თავისი აქტივები რუსეთში 2011 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის „კურთხევით“, რომელიც, სააკაშვილის სიტყვებით, ის ამაში ხელს უწყობდა იმ პირობით, თუ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ივანიშვილი შეცვლის საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

**აღსანიშნავია, რომ აღშფოთება საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით — გამოიძახოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი დაკითხვაზე — გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, აგრეთვე ევროკავშირმა და ნატომაც.**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებასთან დაკავშირებით სააკაშვილის დაკითხვის გამო, საქართველოში მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ეს არის ჩვეულებრივი რჩევა მეგობარი ქვეყნის მხრიდან, რეკომენდაციები, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდეს გამჭვირვალედ“. ამავე დროს, ევროკავშირის ქვეყნებში პრეზიდენტების დაკითხვის პრაქტიკებზე მითითებით, საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „არავინ უნდა ითხოვდეს ჩვენგან, რომ ვიყოთ უფრო მეტი კათოლიკები, ვიდრე რომის პაპია“.

### „ორი მიზეზი“

**ვიდეოხიდის დროს სააკაშვილს შეეკითხნენ, თუ როდის აპირებს იგი თბილისში ჩამოსვლას, რათა პრეზიდენტის ბიბლიოთეკაში წაიკითხოს ლექციები.** ექსპრეზიდენტმა ამ კითხვას არ უპასუხა, თუმცა, საპასუხოდ განაცხადა, რომ „ეს მოხდება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ეს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წარმოუდგენიაო“.

**„არის ორი ქვეყანა, სადაც ჩემი ჩასვლა პრობლემაა — რუსეთის ფედერაცია და საქართველო“,** — განაცხადა სააკაშვილმა და განმარტა, რომ იგი წამოვიდა საქართველოდან ორი მიზეზით. პირველი, მისი სიტყვებით, იყო სურვილი — **„მიეცა ხალხისთვის დასვენების საშუალება“, ვინაიდან, სააკაშვილის თანახმად, ერთი და იგივე პიროვნების მიერ მრავალწლიანი მმართველობის შემდეგ მოსახლეობა იწყებს სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ბრალდების წამოყენებას ყველა თავის პრობლემასთან დაკავშირებით.**

**„ეს ის ეტაპია, როდესაც განზე უნდა გადგე, და ხალხმა საკუთარი თვალით დაინახოს, თუ რა რა არის“,** — განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

მეორე მიზეზი, სააკაშვილის სიტყვებით, იყო გაფრთხილება „დასავლელი მეგობრებისგან“, მათ შორის ევროკომისიის თავმჯდომარის ჟოზე მანუელ ბაროზუსგან.

**„ბაროზუმ... პირდაპირ მითხრა, რომ ვლადიმერ პუტინი ყველა შეკრებას იწყებს საუბრით ჩემს შესახებ, რომლის დროსაც ხდება არარაციონალური, აგრესიული და მოითხოვდა ჩემს დაპატიმრებას... ბაროზუმ მითხრა, რომ თუ საქართველოში დავრჩები, ჩვენ მთავრობას შეუძლია აღძრას საქმე ნებისმიერი საბაბით, რაც იქნება იმის დადასტურება, რომ იგი პუტინის დაკვეთას ასრულებს, და ამით ყველა შემდგომი მოლაპარაკება საქართველოსთან დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. შენ უნდა გადაწყვიტო — დარჩები, და მაშინ საქართველო წავა იზოლაციისკენ, თუ დროებით წახვალ და თავს აარიდებ ამ სიტუაციასო. იგივე მითხრეს ამერიკელებმაც“,** — განაცხადა საქართველოს ექსპრეზიდენტმა.

### „წარმოუდგენელი განცხადება“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც 23 აპრილს კომენტარს უკეთებდა მიხეილ სააკაშვილის ერთი დღით ადრე გაკეთებულ განცხადებას, მას „წარმოუდგენელი“ უწოდა და მოუწოდა ექსპრეზიდენტს სკაიპით ურთიერთობის ნაცვლად ჩამოვიდეს საქართველოში და „დაელაპარაკოს ადამიანებს იმ საშინელ დანაშაულობებზე, რასაც 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა მისი ხელისუფლება“.**

ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ იგი ესწრებოდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ყველა შეხვედრას მისი ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში თებერვალში, მათ შორის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და ვიცეპრეზიდენტთან და რომ არც ერთ მათგანს არასოდეს უხსენებია მიხეილ სააკაშვილის სახელი. უფრო მეტიც, ზალკალიანი ამტკიცებს, რომ არ ყოფილა არანაირი დემარში დასავლეთის სახელმწიფოებისა და საელჩოების მხრიდან, რის შესახებაც საუბრობდა მიხეილ სააკაშვილი თავისი ვიდეოგამოსვლის დროს.

**ამერიკის შეერთეული შტატების და ევროკავშირის წარმომადგენლები არანაირ კომენტარებს არ აკეთებდნენ მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით.**

Voice of America

# სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გამოვიდა

## ექსპრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილს დასავლური სანქციებით დაემუქრა

**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ექსპრემიერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გააფრთხილა, რომ მან შეიძლება დაკარგოს თავისი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბატონი სააკაშვილის აზრით, ეს მოხდება, თუ ექსპრემიერი არ შეასრულებს დასავლეთის მოთხოვნას, უარი განაცხადოს ექსპრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გეგმებზე.**

სკანდალური განცხადება დასავლეთის ულტიმატუმის შესახებ, რომელიც თითქოს წაუყენეს მილიარდერ ივანიშვილს, საქართველოს ექსპრეზიდენტმა გააკეთა სკაიპით პირდაპირი ჩართვის დროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან — თბილისში მის მიერ პრეზიდენტის ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიის დროს. **„ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი დიდხანს არწმუნებდა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს, არ აღძრას ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე“,** — თქვა პრეზიდენტმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილის ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. **„ამერიკელებმა გააფრთხილეს, რომ ძალიან გაბრაზებული არიან იმ გეგმების გამო, რომ სურთ, გამომიძახონ დაკითხვაზე და რომ ეს ძვირი დაუჯდება მოქმედ მთავრობასო“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შემდეგ საქართველოს ყოფილმა ლიდერმა დააკონკრეტა: გადაწყვეტილება სისხლის სამართლის აღძვრის შესახებ შეიძლება ძვირი დაუჯდეს პირადად ბიძინა ივანიშვილს — იგი დღემდე საქართველოს მთავრობის არაფორმალურ ლიდერად ითვლება. **„ამერიკელები დაემუქრნენ, რომ დააპატიმრებენ მის ანგარიშებს, ჩამოართმევენ საფრანგეთის მოქალაქეობას და უფლებას დასავლეთის ქვეყნებში ჩასვლაზე“,** — გააფრთხილა ბატონმა სააკაშვილმა. **„ევროკავშირმა მოამზადა განცხადება, რომლის თანახმადაც ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრა ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებას“,** — განმარტა ყოფილმა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ეს განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა: თვის ბოლოს თბილისი აპირებს გამოაქვეყნოს საბოლოო მოხსენება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ. ექსპრეზიდენტმა ეს ახალი მინიშნება მიიჩნია როგორც სისხლის სამართლის შესაძლო დევნა ხუთი წლის წინანდელ ომთან დაკავშირებით და გამოვიდა განცხადებებით.

ჯერჯერობით კი მიხეილ სააკაშვილი გამოდის, როგორც მოწმე სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც აღძრულია მისი ადმინისტრაციის ჩინოვნიკების მიმართ. მიუხედავად ამისა, მან უარი განაცხადა, გამოცხადდეს პროკურატურაში დაკითხვაზე.

**როდესაც კომენტარს უკეთებდა ექსპრეზიდენტის გამონათქვამებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა მათ „სრული ბოდვა“ უწოდა და ურჩია „ქვეყნიდან გაქცეულ“ სააკაშვილს, ნუ მიედება აბდაუბდას სკაიპით, არამედ დაბრუნდეს სამშობლოში და უპასუხოს პროკურორის ბუნებრივ შეკითხვებს“.**

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ სთხოვა იაპონიას, მხარი დაუჭიროს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, დაჰპირდა, რომ დაიცავს მის ტერიტორიულ ერთიანობას**

ტოკიოში ვიზიტის დროს ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიისად მიაჩნია სადავო კუნძულები სენკაკუ-დიაოიუდიაო, რომლებზეც პრეტენზიას ჩინეთიც აცხადებს. ობამამ შეგვახსენა, რომ ამ ტერიტორიაზე თავდასხმის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები იაპონიას სამხედრო დახმარებასაც გაუწევს, და მიუთითა, რომ მოკავშირეებისგან ელოდება „რუსეთზე ეკონომიკური ზემოქმედების“ მხარდაჭერას.

* * *

**პენტაგონმა ითხოვა, გადაიდოს სანქციები „როსობორონექსპორტის“ წინააღმდეგ, რომელიც ავღანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს აწვდის შვეულმფრენებს**



პენტაგონს არ სურს სანქციები „როსობორონექსპორტის“ წინააღმდეგ: რუსული შვეულმფრენები „როგორც საფირმო ტრაქტორებია“ — მარტივები ექსპლუატაციასა და მომსახურებაში, ამას გარდა კონტრაქტის დარღვევა დაუჯდებათ 100 მილიონი დოლარი და კიდევ უფრო მეტიც. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სინამდვილეში ეს შვეულმფრენები ავღანეთს არ სჭირდება, ისინი კი, ვინც ითხოვს სანქციების გაუქმებას, — რუსი პოლიტიკოსების ხელში სათამაშოები არიან.

* * *

**კანადა უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნებზე 500 მეთვალყურეს გაგზავნის**



„კანადა ლიდერია მსოფლიო გაერთიანების ქვეყანათა შორის, რომლებიც დახმარებას უწევენ უკრაინას დემოკრატიის დამყარებაში“, — განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა. უკრაინის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები 25 მაისისთვისაა გათვალისწინებული.

* * *

**სამხრეთი კორეის ბორნის „სევოლის“ მსხვერპლთა რიცხვმა 171 კაცს მიაღწია**

პარასკევს სამძებრო ოპერაცია გაგრძელდება, მაგრამ იმედი გადარჩენილთა აღმოჩენის შესახებ ელვისებურად ქრება. ოპერაციაში დაახლოებით 550 კაცი, 212 ხომალდი და საავიაციო ტექნიკის 34 ერთეული ღებულობს მონაწილეობას. ჩაძირული ბორნის ამოღება ფსკერიდან მოხდება მხოლოდ უგზო-უკვლოდ დაკარგული ყველა ოჯახის თანხმობის შემთხვევაში.



ⓞ აღწერა-ინვენტარიზაცია

# რას მოიტანს სახელმწიფო ქონების აღწერა?

**მალე მთელი სახელმწიფო ქონების აღწერა-ინვენტარიზაცია დასრულდება. ჯერჯერობით პროცესი დედაქალაქში მიმდინარეობს და შემდეგ რეგიონებშიც გადაინაცვლებს.**

**მობილური ჯგუფის დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში თბილისში 9 უბნის აღწერა განახორციელა (ლილო, სამგორი, ფონიჭალა, ვარკეთილი, დიდგორი, თბილისის ზღვა, ლისი, ზაჰესი და დიღომი), რაც მთლიანობაში 663 დაურეგისტრირებელ ობიექტს და 4 700 000 კვ/მ მიწის ფართს შეადგენს.**

**2014 წლის მარტის მდგომარეობით დეპარტამენტმა განახორციელა 2 უბნის: სოლოლაკის და ორთაჭალის ინვენტარიზაცია. ამასთან, ორთაჭალის ინვენტარიზაცია არ დასრულებულა და დეპარტამენტის თანამშრომლები განაგრძნობენ აღნიშნული უბნის აღწერას. დღევანდელი მონაცემებით აღმოჩენილი მიწის ფართი შეადგენს 112 533 კვ/მ-ს. გარეუბნებთან შედარებით ცენტრალურ უბნებში მჭიდრო დასახლების და მაღალსართულიანი კორპუსების არსებობის გამო რთულდება ფართის იდენტიფიცირება. ცენტრალურ უბნებში უძრავი ქონება ძირითადად რეგისტრირებულია და ამ კუთხით გარეუბნებში მეტი დაურეგისტრირებელი ობიექტის აღმოჩენის ალბათობაა.**

მოკვლეული ინფორმაცია სახელმწიფო ქონების შესახებ განთავსდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ერთიან პორტალზე და ხელმისაწვდომი იქნება როგორც თანამშრომლების, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. თბილისის ინვენტარიზაციის დასრულება გეგმის მიხედვით 2014 ზაფხულამდეა მოსალოდნელი.

სააგენტო „ჯი ეიჩ ენის“ ცნობით, ინვენტარიზაციის პროექტი გრძელდება და მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას. 2014 წლიდან დაგეგმილია სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის დაწყება რეგიონებში.



**ეს პროცესი განსაკუთრებით იმისათვის არის საჭირო, რომ მომავალში გაადვილდეს ქალაქის დაგეგმარება, ახალი მშენებლობებისთვის შესაბამისი ტერიტორიების განსაზღვრა და არსებული შენობების მდგრადობის დადგენა. საქმე ისაა, რომ განსაკუთრებით დედაქალაქში უამრავი ავარიული სახლია, რომელთა აღწერა და ერთიან სისტემაში მოქცევა ჯერ არ მომხდარა. არადა, როგორც თბილისის საკრებულოში აცხადებენ, დედაქალაქში ავარიული სახლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ სწორედ საკრებულოს ინიციატივით, ავარიული ნაგებობების რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს. ამისათვის კი სრულფასოვანი ინფორმაცია არის საჭირო.**

თუმცა, წინასაარჩევნოდ საკრებულო ჩქარობს და გავრცელებული ინფორმაციით, ავარიულ სახლებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერის ჩატარებას ეშურება. როგორც ჩანს, კონკურსი 2014 წლის 30 აპრილამდე გამოცხადდება.

პირველ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები ქალაქში არსებულ 25 ობიექტზე წარიმართება და ძირითადად ნაძალადევის, საბურთალოს, სამგორის, ისნის, მთაწმინდისა და ჩუღურეთის რაიონებს მოიცავს.

**თავის მხრივ, თავისებური ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს საკრებულოსთან დაპირისპირებული თბილისის მერია. მათი ყურადღება ამჯერად ხიდებისკენ არის მიმართული. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანად გამოსაცვლელია 3 ხიდი და ერთს სჭირდება ნაწილობრივი რეაბილიტაცია. გამოსაცვლელებს შორისაა დიღმულას ხიდი მარშალ გელოვანის გამზირზე და ზაჰესის ორი ხიდი — მტკვარზე და რკინიგზაზე გადამსვლელი.**

**რაც შეეხება ბარათაშვილის ხიდს, უკვე დასრულებულია ხიდის ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტირება და პროექტი გადაგზავნილია კულტურის სამინისტროში შესათანხმებლად, ვინაიდან აღნიშნული ხიდი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ბარათაშვილის ხიდზე სამუშაოების დაწყებაც ზაფხულში იგეგმება.**

**ბექა დანელია**

ⓞ ზოგს — ღვინო, ზოგს — მთხლე

# არაადეკვატური ხელფასები

**უკვე მესამე თვეა სახელმწიფო მოხელეების ანაზღაურების საკითხი შეუსწავლელია. პრემიერმა ღარიბაშვილმა წლის დასაწყისში დააყენა ჯერ მინისტრების, ხოლო შემდეგ სსიპ-ების ხელმძღვანელთა ანაზღაურების საკითხი. აქედან, პირველი საკითხი ძალიან სწრაფად გადაიჭრა, ხოლო მეორე მიმართულებით ჯერჯერობით ძვრა არ არის.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტშიც (IDFI) აცხადებენ, რომ სახელმწიფო შპს-ებსა და სსიპ-ებში დღემდე არ დარეგულირებულა მაღალი პრემიებისა და დანამატების გაცემის მიზნობრიობის საკითხი.

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობას თებერვალში, ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე სსიპ-ების ხელფასის საკითხისადმი რაციონალური მიდგომის შემუშავება და წლების განმავლობაში არსებული მანკიერი დამოკიდებულების აღმოფხვრა დაავალა.

**სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ხელმძღვანელთა ანაზღაურება თვეში 2500-დან 5000 ლარამდე მერყეობს. სახელმწიფო შპს-ების შემთხვევაში კი ანაზღაურება რამდენიმე ათეულ ათასს უტოლდება.**

**მაგალითად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის თვიური სახელფასო ანაზღაურება 2950 ლარია, დირექტორის პირველი მოადგილისა კი — 2820 ლარი.**

**აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო — აკრედიტაციის ცენტრისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის გენერალური დირექტორის**



**ხელფასები 2700 ლარს შეადგენს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის თვიური ხელფასი კი 2900 ლარს.**

**სახელმწიფო შპს-ებიდან კი განსაკუთრებით მაღალი ხელფასებია „ბათუმის აეროპორტში“, „საქართველოს რკინიგზაში“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“. რაც შეეხება ე.წ. მარეგულირებელ კომისიებს, იქ არათუ უწყების ხელმძღვანელებს, არამედ კომისიის ჩვეულებრივი წევრების ანაზღაურებაც კი ექვსნიშნა რიცხვს აღემატება.**

ცოტა ხნის წინათ, სსიპ-ებისა და სახელმწიფო შპს-ების ხელმძღვანელთა ანაზღაურების საკითხი მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წამოწია და მთავრობის წევრებს აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვა მოსთხოვა, თუმცა, ამ მიმართულებით მთავრობას ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადაუდგამს.

IDFI-ის წარმომადგენელს გოგა თუშურაშვილს იმედი აქვს, რომ მთავრობა უახლოეს მომავალში ამ საკითხს დაარეგულირებს. **„რადგან ყურადღება უკვე გაამახვილა სახელმწიფო შპს-ების და სსიპ-ების ხელმძღვანელთა არალოგიკურ ხელფასებზე, სავარაუდოდ, საკითხის მოგვარებაზეც იზრუნებენ“,** — აცხადებს თუშურაშვილი სააგენტო „ბიპიენთან“ საუბრისას.

**ახლა ჯერი მთავრობის ეკონომიკურ გუნდზეა, რომელმაც სსიპ-ებისა და შპს-ების ოპტიმიზაციის გეგმა უნდა წარუდგინოს მთავრობას. შევა თუ არა სახელფასო პოლიტიკაში ცვლილებები, ამის შესახებ მთავრობაში ჯერ არ საუბრობენ.**

**პრემიერ-მინისტრის აპარატში და ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ საკითხზე მუშაობა დაწყებულია.**

**გადაიდგა თუ არა რაიმე ქმედითი ნაბიჯი ამ მიმართულებით, კვირიკაშვილის უწყებაში დეტალებს არ ამხელენ და ამბობენ, რომ ჯერჯერობით მუშა პროცესი მიმდინარეობს. კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია კი საკითხის საბოლოოდ შესწავლის შემდეგ გახმაურდება.**

**ბექა დანელია**

ⓞ ანონსი

# მაესტროს ორი ამპლუა



**30 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტს გამართავს. ორკესტრს უდირიჟორებს ცნობილი ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, თუმცა, ამ საღამოს ის კომპოზიტორის როლშიც წარსდგება აუდიტორიის წინაშე, ვინაიდან ვაგნერის ოპერის „რიენცის“ უვერტიურასთან, ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაის“ II მოქმედების II სცენის შესავალთან, ვახტანგ მაჭავარიანის მიერ გაორკესტრებული სერგეი პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის III ნაწილთან (პირველი შესრულება საქართველოში, ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის ხსოვნას) ერთად, გაიმართება ვახტანგ მაჭავარიანის პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონიას“ პრემიერა (სიმფონია ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს).**

ბოლო წლების მანძილზე ვახტანგ მაჭავარიანი საზოგადოებამ კომპოზიტორის ამპლუაშიც გაიცნო, როდესაც მან მსმენელს წარუდგინა თავისი ნაწარმოებები — კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, სიმფონიური პოემა „ნაცარქექია“, ამჯერად კი შედგება პირველი სიმფონიის პრემიერა.

ვახტანგ მაჭავარიანს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და აკავშირებს საქართველოს და მსოფლიოს ცნობილ კოლექტივებთან, რომელთან ერთად გამართული აქვს კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად იგი თანამშრომლობს ბელგიის ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრთან. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს კონცერტები გერმანიასა და აშშ-ში.

1984-1991 წლებში ვახტანგ მაჭავარიანი იყო სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის მთავარი მიწვეული დირიჟორი, 1990-2001 წლებში მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთან ერთად არა ერთხელ გამართა გასვლითი კონცერტები საზღვარგარეთ. 1996- 2004 წლებში იყო საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2001-2008 წლებში კი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის — „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

2011 წლიდან ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიური ორკესტრთან, რომელთან ერთადაც შესრულებული აქვს: შოსტაკოვიჩის სიმფონიები № 7, 9, 10, 12; მალერის № 3 სიმფონია; ბეთჰოვენის № 2, 5, 6 სიმფონიები; მოცარტის № 39 სიმფონია. 2013 წელს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მან იდირიჟორა კომპოზიტორის მეორე სიმფონია. ამავე წელს ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით შესრულდა რიხარდ ვაგნერის ოპერები - „ტრისტან და იზოლდა“ და „ლოენგრინი“, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქი და გერმანელი საოპერო მომღერლები.

2013 წლის 28 და 30 ივნისს ვახტანგ მაჭავარიანმა, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვერონას რომაულ ამფითეატრში (Arena di Verona) იდირიჟორა ვერდის „ტრუბადური“ საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით.

2013-2014 წლებში ვახტანგ მაჭავარიანმა კონცერტები გამართა პეტერბურგის მარინის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან. ამავდროულად თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგა ანკარაში, აშშ-ში, კანადასა და ჩინეთში.

**ავთანდილ ბექაური**

ⓞ რაც თვალს არ გამოეპარა!

# „წიგნის გარეშე“ კი არა, „უწიგნოდ“!

ვინღა უყურებს ორთოგრაფიას, ვინღა დაეძებს სწორ ფორმებს პრესაში თუ რადიო-ტელევიზიაში. უამრავი საინფორმაციო საშუალება, უპირველესად, იმას ცდილობს, მკითხველს და მსმენელს სხვაზე ადრე მიაწოდოს ახალი ამბავი. გასაგებია, მაგრამ, ამ უსერიოზულესი საკითხის ყოველდღიური მიყურისძირებით, მშობლიური ენის სიწმინდეს ვვნებთ, ბატონებო!

ნამეტანი გამიგრძელდა, ჰოდა, დიდაქტიკური ტრაქტატი რომ არ გამომივიდეს, გუშინდელ თვალშიმოსახვედრ (უპირველესად იმათთვის, ვინც ქართულ სიტყვას ემსახურება) ფაქტს გეტყვით და დავამთავრებ: **რუსთაველის გამზირზე აქა-იქ გაუკრავთ მოწოდება: „არც ერთი დღე წიგნის გარეშე! წიგნის მეგობრები.**

რა ვქნა, თვალს ეხამუშა — **წიგნის გარეშე** — სუფთა რუსული კალკია („Без Книги“). დაგეწერათ წიგნის მეგობრებო, ანუ, წიგნიერებო და, ამდენად, ქართული მართლწერის მცოდნენო, **არც ერთი დღე უწიგნოდ! ეს იქნებოდა სწორი და, რაც მთავარია, ქართული.** სხვათა შორის, **წიგნის მეგობრები** რომ აწერთ ამ განცხადებას ხელს, უხერხულობა სწორედ ამან გამოიწვია, თორემ, რაც დღეს ქუჩებში გამოკრულ განცხადებებში შეცდომებია, მაგის ჩამოთვლას ვინ აუვა!

არადა, როგორც დიდი ილია გვასწავლის, **უწიგნოდ** ჩვენი თვალთახედვის არე მოკლეა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ადამიანი დროში

# გორში გურამ პაპიტაშვილის 80 წლის იუბილე აღინიშნა



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად გორს ესტუმრა და საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი მწვრთნელისა და სპორტული მოღვაწის — გურამ პაპიტაშვილის 80 წლის საიუბილეო საღამოს დაესწრო.**

აღნიშნული ღონისძიება გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა, სადაც ლევან ყიფიანმა გურამ პაპიტაშვილი სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა.

საღამოს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტის წევრი შოთა ხაბარელი, მსოფლიო ჩემპიონი გურამ საღარაძე, ძიუდოში, ჭიდაობასა და სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები, ადგილობრივი მთავრობის ხელმძღვანელები და გურამ პაპიტაშვილის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად, გურამ პაპიტაშვილი ასევე დაჯილდოვდა ოლიმპიური მედლით, რომელიც მას ლერი ხაბელოვმა გადასცა. საიუბილეო შეხვედრაზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი გურამ პაპიტაშვილის შესახებ.

**გურამ პაპიტაშვილის მცირე დოსიე**

**დაიბადა 15.04.1934, კირბალი, გორი. ძიუდო, მწვრთნელი. სსრკ სტუდენტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1964-74, 85), სსრკ პირველი ნაკრების მწვრთნელი (1963-78). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური, ანზორ ქიბროწაშვილი, როინ მაღალთაძე, გიორგი თენაძე (ყველა — ძიუდო) და ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე (1995-დან), ღირსების მედლის კავალერი, სპორტის რაინდი.**

**ბეჟან დოლიძე**

◎ ეროვნული თასი

# გამეორება ცოდნის დედაა



**დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდნენ თბილისის „დინამო“ და საჩხერის „ჩიხურა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი სეზონის „დუბლით“ დასრულების რეალურ შანსს ინარჩუნებს, ხოლო ზემოიმერლები, მიუხედავად მომავალი სატიტულო ბრძოლის შედეგისა, როგორც თასის გათამაშების ფინალისტები, ალბათ, ევროპის ლიგაში ითამაშებენ.**

სოსო ფრუიძის შეგირდებმა გადამწყვეტი რაუნდისკენ დიდი ნაბიჯი პირველივე ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ გადადგეს, როცა ქობულეთში მეორელიგელი „შუქურა“ დაამარცხეს — 2:1. შინ საჩხერელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახლდათ — 3:1.

საპირისპირო სცენარით განვითარდა მოვლენები „თეთრ-ლურჯთა“ და გორის „დილას“ წყვილში, როცა დილმელებმა მოკრძალებულ საშინაო სტარტს (1:0) სტუმრად განავარდება დაუმატეს (4:1).

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ კალათბურთი

# ორუცნობიანი განტოლება დღეს ამოიხსნება

**შეგახსენებთ, რომ ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ პირველი მონაწილე კატალონიის „ბარსელონა“ გახდა, რომელმაც პლეი-ოფში მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ დაჯაბნა — 3:0.**

ოთხი შეხვედრა დასჭირდა უძლიერესის გამოვლენას თელ-ავივის „მაკაბისა“ და „მილანის“ წყვილში. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებლის რიკი ჰიკმანის ძალისხმევით (16 ქულა) ებრაულმა კლუბმა ბოლო მატჩში საოცარი გარდატეხა მოახდინა — პირველი ტაიმის 33:43 დათმობის შემდეგ მეტოქე 86:66 დაბომბა და სერია 3:1 მოიგო. ამით იტალიელებს საკუთარ ქომაგთა წინაშე პრესტიჟული ჯილდოსათვის ბრძოლის შესაძლებლობა მოესპოთ — მოგეხსენებათ, „ოთხთა ფინალს“ 16-18 მაისს სწორედ მილანი უმასპინძლებს.

რჩეულთა კვარტეტის დანარჩენი ორი წევრის ვინაობას დღეს შევიტყობთ, რადგან „ოლიმპიაკოსი“ — „რეალისა“ და „პანათინაიკოსი“ — ცსკას დუელებში ბერძნულმა გრანდებმა შინ ზედიზედ 2-2 მატჩი მოიგეს და საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.



**გაუწყებთ მეოთხე თამაშების შედეგებს:** „პანათინაიკოსი“ — ცსკა 73:72 (დამატებით დროში, ძირითადი დრო — 64:64), „ოლიმპიაკოსი“ — „რეალი“ 71:62 (გიორგი შერმადინმა 7 წუთში პირეოსელთა ყულაბა 2 ქულით გაამდიდრა).

დავძენთ, რომ დღეს გადამწყვეტი შეხვედრები მადრიდსა და მოსკოვში მოეწყობა. რაც შეეხება ნახევარფინალს, ადვილი შესაძლებელია იქ მორიგი „ელ კლასიკო“ გაიმართოს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის



**ხოსეპ გვარდიოლამ თავისი სამწვრთნელო მოღვაწეობის კატალონიური პერიოდი ისე დაასრულა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთხელაც არ დამარცხებულა.**

ნავსი მაშინ გატყდა, როცა ამას გულშემატკივართა უმეტესობა ყველაზე ნაკლებად ელოდა, თუმცა, ამით ბევრი არაფერი გადაწყვეტილა — მოგეხსენებათ, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.

**„რეალი“ — „ბაიერნი“ 1:0**

**გოლი:** ბენზემა (მე-19 წუთი).

ალბათ „სამეფო კლუბის“ ქომაგთა ნაწილს გაუკვირდებოდა, ზემოთ რეკორდმაისტერს ფავორიტის სტატუსი რომ მივაკუთვნეთ. მართლაც, მათი საყვარელი გუნდი, ათადან და ბაბადან მოყოლებული, უპირველესად, საკუთარ მოედანზე სჭედდა როგორც ლოკალური ხასიათის, ისე საეტაპო მნიშვნელობის გამარჯვებებს, მაგრამ თანამედროვე ბავარიული გრანდის ძლევა, თუნდაც შინ, დაგვეთანხმებით, განსაკუთრებული შემთხვევაა.

როცა ამას ვამბობთ, უმთავრესად იმ საკადრო პრობლემებს ვითვალისწინებთ, რომლითაც კარლო ანჩელოტის კრებული ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ რაუნდს შეხვდა. კერძოდ, ბარძაყის კუნთის მოშუშების შემდეგ პირველად მოთამაშე კრიშტიანუ რონალდუ რომ ჯერ შორსაა ოპტიმალური კონდიციებიდან, მატჩმაც დაადასტურა, ხოლო ამასწინანდელი სათასო ფინალის გმირ გარეთ ბეილს ვირუსულმა ინფექციამ მხოლოდ 15-წუთიანი გაფაფხურების საშუალება მისცა.



რაც შეეხება ამბიციურ თავკაცთა ტაქტიკურ ბრძოლას, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ამჯერად იტალიელმა სპეციალისტმა მოიგო. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემების უმეტესობა სტუმართა უპირატესობაზე მეტყველებს (მაგალითად — კუთხურები: 4:13!), მთლიანობაში მოვლენები კასტილიელთათვის სასურველი სცენარით ვითარდებოდა, რასაც ნოიერის კართან შექმნილი სახიფათო მომენტების სიჭარბე მოწმობს და კაცმა არ იცის, რამხელა ფორით ეწვეოდნენ „ალიანს არენას“ ესპანელები, რონალდუსა და დი მარიას ისინი რომ არ გაეფლანგათ.

**და ბოლოს:** აქამდე ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის პირველ ნახევარფინალურ დუელში შექმნილი ანალოგიური მარაგი „რეალს“ ერთხელაც არ ეყო საერთო წარმატების მოსაპოვებლად მაშინ, როცა მისმა მრისხანე მეტოქემ ექვსიდან ხუთჯერ შეძლო სასურველი რევანშის აღება.

ეს ისე, ცნობისთვის, მანამდე კი მოდით, ცოტაც მოვითმინოთ და 29 აპრილს დაველოდოთ.

**გიორგი შოთაძე**

◎ ასეთია მათი ხვედრი

# სპორტსმენი ქალების ბედი ისლამისტურ ქვეყნებში

**მიუხედავად იმისა, რომ გაგანია 21-ე საუკუნეა და მსოფლიოს ქვეყნების უდიდეს ნაწილში ქალები უფლებების მხრივ მამაკაცებთან გათანაბრებულნი არიან, ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, სადაც ქალებს სპორტის კუთხით შეზღუდვები აქვთ და ეს შეზღუდვები ძალიან ცუდ შედეგებს იწვევს.**



ისეთ უკიდურესად ისლამისტურ სახელმწიფოებში, როგორიც მაგალითად ირანი ანდა საუდის არაბეთია, ქალებს დღემდე აიძულებენ, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპეციალური თავსაბურავით მიიღონ მონაწილეობა. სხეულის სხვადასხვა ნაწილების გამოჩენაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

სპორტის ამერიკელი ექსპერტი ენდრიუ ბეკეტი ამბობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან არასწორი გადაწყვეტილებაა, როდესაც ჩადრიან ქალებს ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლებას აძლევენ, რადგან ეს არის მათი უფლებების დარღვევების ერთგვარი დაკანონება. თუმცა, ბატონი ენდრიუ არ განმარტავს იმ ნათელ ჭეშმარიტებას, რომ თუკი ჩადროსან ქალებს ოლიმპიადებზე მონაწილეობას აუკრძალავენ, ეს მათი უფლებების დაცვის კუთხით მაინც ვერაფერს შეცვლის.

**კოშა კოშახიძე**

◎ ინტერნეტიდან

# შიშველი შეიკი და უკმაყოფილო რონალდუ



**სახელგანთქმული მოდელი და ასევე ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელის, კრიშტიანუ რონალდუს შეყვარებული ირინა შეიკი, ცოტა არ იყოს, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა.**

საქმე ისაა, რომ მოდელი სრულიად შიშველი პოზირებდა ამერიკელ მუსიკოს არნოლდ კელისთან ერთად, ამ ფაქტმა კი რონალდუს საშინელი რეაქცია და უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, აქამდე შეიკი არაერთ გულახდილ ფოტოსესიაშია გადაღებული, მაგრამ არა ასეთ პიკანტურში, რამაც რონალდუ ასე გააღიზიანა. ირინამ კი, საჯაროდ განაცხადა, რომ მისთვის ერთადერთი მამაკაცი კრიშტიანუა და მუდამ ასე იქნება.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ინფორმაცია

### „ტელეიმედის“ საქმიანობაში მაღალჩინოსნები ერეოდნენ

**საქალაქო სასამართლოში გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის პროცესზე სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის გიგა გიორგაძის დაკითხვა დასრულდა.**

გიორგაძემ სასამართლო კომენტარის გარეშე დატოვა. რაც შეეხება მის მიერ მიცემულ ჩვენებას, მინისტრის მოადგილემ, რომელიც „ტელეიმედის“ იურიდიულ სამსახურს 2009-2012 წლებში ხელმძღვანელობდა, ყოფილი ხელისუფლების პირობებში „ტელეიმედის“ მართვის დეტალებზე ისაუბრა. გიორგაძემ მიუთითა, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები „ტელეიმედის“ საქმიანობაში ერეოდნენ. ერთ-ერთ მაგალითად გიორგაძემ დაასახელა ქუთაისის მთავრობის სხდომიდან ჟურნალისტის ჩართვის ფაქტი.

როგორც მან აღნიშნა, ჟურნალისტმა ჩართვის დროს თქვა, რომ მთავრობის წევრები უკანა კარიდან გაიპარნენ, რადგან გარეთ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. როგორც მინისტრის მოადგილე ამბობს, სწორედ ამ ფრაზის გამო, ტელევიზიის დირექტორის მოადგილემ ალექსანდრე ფარულავამ პირადად მიიღო შენიშვნა იუსტიციის მაშინდელი მინისტრ ზურაბ ადეიშვილისგან. გიგა გიორგაძემ კიდევ ერთ ფაქტზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ვახო სანაიას გადაცემის დროს ალექსანდრე ფარულავას პარალელური თათბირი ჰქონდა დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთან. გიორგაძის თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია თავად ფარულავასგან აქვს. გიგა გიორგაძის ინფორმაციით, უგულავა გადაცემის მსვლელობებისას მითითებებს აძლევდა, ფარულავას მეშვეობით, როგორც გადაცემის პროდიუსერს, ასევე წამყვანს.

გიგა გიორგაძის თქმით, იუსტიციის მაშინდელი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მხრიდან მითითებებს იღებდა „ტელეიმედის“ საინფორმაციო სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი ნანა ინწკირველი.

დაცვის მხარის ადვოკატებმა გიორგაძეს დაუსვეს შეკითხვები, უშუალოდ მის საქმიანობაში ერეოდნენ თუ არა გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი და დავით იაკობაშვილი. „ტელეიმედის“ იურიდული სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა აღნიშნულზე უპასუხა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

# ჯიმი მიქელაძე



მეუღლე ნაილი წულაია, შვილები მარიკა, ფრიდონ (ხათო) მიქელაძეები, და ლალი, ძმა მურთაზი, რძალი თამრიკო მაჭავარიანი, სიძე ალექსანდრე ნეფედოვი, შვილიშვილები თამუნა, ეკატერინე, სალომე, ანასტასია, ჯიმი, ცოლისდა ნათელა, ცოლისძმა რევაზი, ლუიზა შარაბიძე, დოდო ჭაბუკიანი, ბახვა მანჯავიძე, მძახლები რიმა, ნიკოლოზ ნეფედოვები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ (ჯიმი) მიქელაძე**

პანაშვიდი 25, 26 IV, 17 სთ. დაკრძალვა 27 IV, 15 სთ. ირ. აბაშიძის 39, I სადარბაზო. IV სართული.

---

თენგიზ მენთეშაშვილი, გუჯა ახალაძე, ანზორ ბერაძე, ოთარ გაბელაშვილი, გურამ გვეტაძე, ნელი გურგენიძე, კახი კავსაძე, ნიკო ლეკიშვილი, ადერკინ კოპლატაძე, ლია ლომიძე, ომარ მარგველაშვილი, ზურაბ მაჩაიძე, ვანიკო მაჭავარიანი, დამირ მანჯგალაძე, ნუკრი მანჯგალაძე, ჯონი მანწკავა, როინ მეტრეველი, დემურ მიქაძე, ომარ მხეიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ირაკლი ჟორდანია, ნუგზარ რუხაძე, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ივიკო საყვარელიძე, მინდია უგრეხელიძე, გურამ ფერაძე, ნუგზარ ფოფხაძე, თამაზ შილაკაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, თამაზ ცინცაძე, გიორგი ხაზარაძე, ჯანსულ ჩარკვიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, გამორჩეული მოქალაქე

**ჯემალ (ჯიმი) მიქელაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბიძაშვილები გულერი, ნუნუ, ნინი ჩხეიძეები, მამიდაშვილები ჯუნი, ვალერი მხეიძეები, შალვა, დოდო ჩხიკვიშვილები, მაია, მარიკა არველაძეები, თამთა, ლელა, გიორგი, ნანა ვაჩიბერიძეები, მაგული, დათო, თამუნა ლორთქიფანიძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ (ჯიმი) მიქელაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნინო ქიქოძე, თემურ, რუსიკო ფანცულაიები, მარინა ნეფედოვა, ალეკო, რუსიკო მარღანიები, რენა ნეფედოვა ოჯახებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

**ჯიმი მიქელაძის**

გარდაცვალებას.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ღირსეული ქართველი, კოლორიტული პიროვნება, უიშვიათესი მეგობარი და მოკეთე

**ჯიმი მიქელაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის დიდ ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მრავალი წიგნის ავტორის, პუბლიცისტის, ქართული მეცნიერების დიდი მოამაგის, კოლორიტული პიროვნების, ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, გენერალ-ლეიტენანტის, ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს

**ჯემალ (ჯიმი) მიქელაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძმას, სამეგობროს და სრულიად საქართველოს

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, თამაზ იმედაძე, თამაზ დანელია, გურამ გვეტაძე, ბორის სარალიძე, გიორგი ხაზარაძე, ელიზბარ ლომინაძე, არჩილ ვაშაკიძე, რომან კუჭუხიძე, გივი კვიჭიძე, ნუგზარ ნორაკიძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, თამაზ კუნჭულია, ანზორ აბრალავა, პარმენ ლემონჯავა, ლოიდ ქარჩავა, გიორგი ბაბუნაშვილი, ნარგიზი გვალია, მანუჩარ მაჩაიძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, დემურ ღაღანიძე, სოსო ძნელაძე, მამია ჭუმბურიძე, ბონდო ხობელავა, ჯემალ ჯინჯოლავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ღირსეული შვილის, პუბლიცისტის, დიდი საზოგადო მოღვაწის, გენერალ-ლეიტენანტის, აკადემიკოს

**ჯიმი მიქელაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

## ჩვენი კარაბადინი

**თქვენ ბევრი რამე გავიწყდებათ და ეს ძალიან გაღელვებთ? რას იზამ, უმჯობესია სერიოზულად გავერკვეთ ამაში, ვინაიდან მიზეზები, რასაც გულმავიწყობასთან მივყავართ, შეიძლება მეტად სერიოზული იყოს.**

მეხსიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე დღეს ლამის ყველა ჩივის. მაგრამ ერთია, თუ თქვენ, მაგალითად, ხშირად ვერ იხსენებთ, სად დაგრჩათ ხელთათმანები ან სად დადეთ მობილური ტელეფონი. და სრულიად სხვა რამ – თუ არ შეგიძლიათ აღიდგინოთ მეხსიერებაში გასული სამშაბათის, ანდა სულაც გუშინდელი ამბები. და კიდევ ერთი სახიფათო სიმპტომი, რომელიც სერიოზულ თანმდევ დაავადებებზე მეტყველებს – ესაა დიდი სირთულეები იმის მცდელობის დროს, რომ შეინარჩუნოთ თავში ახლახან მიღებული ინფორმაცია. როგორც ანეკდოტშია:

– ექიმო, ჩავარდნები მაქვს მეხსიერებაში.
– და ეს ხშირად გემართებათ?
–რა ხშირად?
– ჩავარდნები, ავადმყოფო, ჩავარდნები?
– რა ჩავარდნები?

ვაი, რომ ცხოვრებაში ამგვარი სიტუაციები უფრო სამწუხაროდ გამოიყურება ხოლმე. ყველაზე ხშირად მეხსიერების გაუარესება შემდეგი სენების ფონზე ხდება:

**1. თავის ტრავმები.** რაც უფრო მძიმეა ტრავმა – მით უარესია მეხსიერება. ხოლო სერიოზული კეფა-ტვინის ტრავმებისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ მეხსიერების გაუარესება, არამედ მისი დაკარგვაც კი (ამნეზია). ამ ფონზე ჩნდება ხოლმე კონფაბულაცია (ცრუ მოგონებები) და ჰალუცინაციებიც კი.

**დეტალები.** მეხსიერების გაუარესების პროცესის დაწყება, აგრეთვე ჰალუცინაციების გაჩენა დროის მიხედვით ემთხვევა თავის ტრავმას.

**რა უნდა ვქნათ?** უნდა მივმართოთ ნევროლოგს, გავიკეთოთ თავის ტვინის რენტგენოთერაპია.

**2. ფსიქიკური დარღვევები.** მაგალითად, კორსაკოვის სინდრომი, რომლის დროსაც ირღვევა მიმდინარე მოვლენების დამახსოვრების შესაძლებლობა (ფიქსაციური ამნეზია) წარსულზე მეხსიერების შედარებითი შენარჩუნების დროს.

**დეტალები.** ჩნდება დროში, ადგილსა და ვითარებაში ორიენტაციის დარღვევა. შეიძლება გაგვიჩნდეს ცრუ მოგონებები.

**რა უნდა ვქნათ?** მივმართოთ ფსიქიატრს, ჩავიტაროთ გამოკვლევა.

**3. ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი.** თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს მცირდება ამ ორგანოს ყველა განყოფილებაში სისხლის შემოდინება. შესაბამისად იტანჯება მეხსიერებაც.

**დეტალები.** მეხსიერების დაქვეითების გარდა –ყურადღების ცუდი კონცენტრაცია, თავის ტკივილები, გაღიზიანებულობა და დაღლილობა.

**რა უნდა ვქნათ?** მიაკითხეთ ნევროლოგს, გაიკეთეთ

### სრული ჩავარდნა!



### რით ამოვავსოთ ხვრელი მეხსიერებაში

სისხლის ანალიზი ქოლესტერინზე, გაიარეთ ტვინის სისხლძარღვთა გამოკვლევა.

**4. შაქრის დიაბეტი.** ამ დაავადების დროს იტანჯება სისხლძარღვები: დიდ ძარღვებს უსქელდება კედლები, წვრილები კი სულაც იკეტება. შედეგად სისხლი ტვინში არასაკმარისი ოდენობით ხვდება.

**დეტალები.** სიმპტომები შეიძლება არც ჰქონდეს, მაგრამ ზოგჯერ ჩნდება გაზრდილი წყურვილი, უფრო ხშირი ხდება შარდვა, ლორწოვანი გარსის სიმშრალე (უწინარეს ყოვლისა, პირში და სასქესო ორგანოებში), გაზრდილი დაღლილობა.

**რა უნდა ვქნათ?** მიდით ენდოკრინოლოგთან, ჩააბარეთ სისხლი შაქარზე.

**5. თავის ტვინის ამ განუკურნებელ დეგენერატიულ დაავადებას ახასიათებს მეხსიერებისა და ინტელექტის თანდათანობითი და განუხრელი დაქვეითება თვით გონებასუსტობამდე.**

**დეტალები.** ყველაზე ხშირად ჩნდება 60 წლის შემდეგ. ჩავარდნები მეხსიერებაში ეხება მიმდინარე სიტუაციებს, მაშინ, როდესაც შორეული წარსულის მოვლენებს ადამიანი გადმოგვცემს ადვილად და დაწვრილებით. ზოგჯერ ამჟამინდელი და წარსული ამბები ავადმყოფს ერთმანეთში ერევა. ადამიანი ხდება უჟმური და ეგოისტური.

**რა უნდა ვქნათ?** პირველივე ეჭვის დროს უნდა მივმართოთ ნევროლოგს. მკურნალობის ადრეული დაწყების შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ დაავადების უფრო მსუბუქ მკურნალობას.

**6. ფარისებრი ჯირკვლის დაავადება** დაკავშირებულია მისი იმ ჰორმონების (ჰიპოტირეოზი) გამომუშავების უკმარისობასთან, რომლებიც 65 პროცენტით იოდისგან შედგება.

**დეტალები.** მეხსიერების დაქვეითების გარდა, რაც ჩვეულებრივად ვლინდება პირველი, ავადმყოფს ეზრდება წონა (ცუდი მადის ფონზეც კი), ჩნდება ძალების დაქვეითება, დეპრესია, აპათია, გაღიზიანებულობა. ჩნდება შეშუპებები და კუნთების სისუსტე.

**რა უნდა ვქნათ?** უნდა მივმართოთ ენდოკრინოლოგს, ჩავაბაროთ სისხლი ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე, აუცილებლობის შემთხვევაში გავიკეთოთ ულტრაბგერითი გამოკვლევა. იოდდეფიციტის პროფილაქტიკისთვის რაციონს უნდა დავუმატოთ იოდირებული მარილი და რძის პროდუქტები, ზღვის კომბოსტო და ზღვის თევზი, ხურმა, მაგარი ყველი და კაკალი.

**7. ოსტეოქონდროზი.** თუ ხერხემლის კისრის განყოფილებაში არის თიაქარი, იტანჯება ტვინის სისხლძარღვებიც. მეხსიერების მოშლა – შესაძლო უბედურებათა შორის ჯერ კიდევ ყველაზე მცირეა. დროთა განმავლობაში კისრის ოსტეოქონდროზს შეუძლია, მიგვიყვანოს ინსულტთანაც კი.

**დეტალები.** პერიოდული თავის ტკივილები, დაბუჟება ხელის თითებში.

**რა უნდა ვქნათ?** მიმართეთ ვერტებროლოგს, გაიკეთეთ კისრის განყოფილების მიკრორენტგენული თერაპია. მიმართეთ ცურვას, სამკურნალო ფიზკულტურას.

**8. დეპრესია.** მუდმივი განგაში ძალიან აუარესებს მეხსიერებას.

**დეტალები.** დათრგუნვა, აპათია, ურთიერთობის სურვილის უქონლობა.

**რა უნდა ვქნათ?** უნდა მივმართოთ ფსიქოთერაპევტს.

## დაიჯესტი

### საკე თბილი, საკე ცივი...



**იაპონელი სამურაების მეომრული სულისკვეთებისა და გარეგნული სიმკაცრის მიუხედავად, თავყრილობებზე ისინი ხშირად ალკოჰოლსაც მიირთმევენ.**

ყველაზე ცნობილი იაპონური სასმელი საკეა, რომელსაც ბრინჯის არაყს უწოდებენ, თუმცა კი, მისი სიმაგრე მხოლოდ 15 გრადუსია. ჩვეულებრივ თბილ საკეს სვამენ, თუმცა კი, სიცხეში მას აციებენ კიდეც. საკეს ხშირად, აპერიტივად **(მადის აღმძვრელი, ჩვეულებრივი სპირტიანი სასმელი – რედ.)** ხმარობენ, ხოლო იაპონიაში დიდად პოპულარული მოტკბო-მომჟავო ქლიავის ღვინო ტრაპეზის ბოლოს, ხილთან ერთად გამოაქვთ ხოლმე.

ტრადიციული იაპონური ლუდი ჩვეული ევროპული სახეობებისგან დიდი სირბილით გამოირჩევა, ასევე იმით, რომ გადამუშავებული ბრინჯისა და სიმინდის პროდუქტებს შეიცავს.

### ეს საოცარი კატები



**გინესის რეკორდების წიგნში, მრავალ სხვა საოცრებასთან ერთად, აღნიშნულია, რომ კატებში კნუტების დაყრის რეკორდსმენია სპარსული ჯიშის კატა, რომელმაც ერთ ჯერზე 19 კნუტი დაყარა.**

ამავე გამოცემის თანახმად მსოფლიო რეკორდსმენი ხვადი ვილი 21,3 კილოგრამს იწონიდა. კატები, საშუალოდ, 15-20 წელს ცოცხლობენ, თუმცა კი, ავსტრალიის სიდნეიში სიამის ჯიშის ბენიმ 36 წელი იცოცხლა. კატების გული წუთში 110-140-ჯერ იკუმშება (კნუტებისა კი – 180-200-ჯერ), სხეულის ტემპერატურა 38-38,5 გრადუსია. მათ დღე-ღამეში, საშუალოდ, 12-14 საათს სძინავთ, ხოლო თავის ტვინში 67 მილიონი ნერვული უჯრედი აქვთ, რაც 1,5 მილიონით მეტია ადამიანის თავის ტვინის ნერვული უჯრედების ოდენობაზე. საინტერესოა ისიც, რომ თითოეული კატის ცხვირის მოხაზულობა ადამიანის თითის ანაბეჭდივით უნიკალურია, ხოლო ერთ სპარსული ჯიშის კატას კვირაში ერთხელ თუ გაპარსავენ, მას წელიწადში საშუალოდ 3 კილოგრამი მაღალი ხარისხის მატყლის მოცემა შეუძლია.

### ტკბილეულის „ბანგი“



**ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ შაქარი თავის ტვინზე ნარკოტიკივით მოქმედებს.**

აღმოჩნდა, რომ შაქრისა და ცხიმების მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტები თავის ტვინში იმავე ცენტრებზე ზემოქმედებენ, რომლებიც ალკოჰოლის ანდა ნარკოტიკების მოხმარებისას „ირთვება“. ამიტომაცაა, რომ რაც უფრო მეტ ტკბილეულს მიირთმევს კაცი, მით უფრო მეტი უნდება.

### მარტო ჭურჭლის რეცხვა საქმეს არ შველის



**მთელ მსოფლიოში ჭურჭლის სარეცხი მანქანების 62 პროცენტი სოკოთია დაავადებული: ნესტიანი გარემო და მარილი დიდად უწყობენ ხელს მათი ზოგიერთი სახეობის გამრავლებას.**

განსაკუთრებით ბევრი სოკო თავს იყრის მანქანის კარის შემამჭიდროებელზე. თუ კაცი სოკოს სპორებს შეისუნთქავს, ინფექცია ფილტვებში ჩაიბუდებს. ამიტომ მათთვის, ვინც ანტიბიოტიკურ პრეპარატებს იღებს, მუკოსივისციტოზითა და დიაბეტით დაავადებულთათვის განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან, შესაძლოა, ფილტვების და კანის დაავადებები განუვითარდეთ. ამიტომ, ყოველივე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ჭურჭლის სარეცხი მანქანის საგულდაგულოდ რეგულარულად გაწმენდა.

### აღმასვლა დაღმავალი კიბით

**სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამსახურებრივი რომანები ადამიანების შრომისუნარიანობას აუმჯობესებენ.**

აღმოჩნდა, რომ შეყვარებული წყვილები სხვებზე უკეთ მუშაობენ, უფრო ხშირად იღებენ არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს და, შედეგად, უფრო მაღალ თანამდებობებზეც ინიშნებიან. მაგრამ, ამავე დროს ისიც გაირკვა, რომ შეყვარებულთა გრძნობების გაცივება მათ მუშაობაზე იმდენად ცუდად აისახება, რომ ზოგჯერ ყოფილ სატრფოთა ძველ ადგილებზე დაბრუნება ხდება საჭირო.



### თურმე რა სიფრთხილე ყოფილა საჭირო!

**კბილების რეგულარული გამოხეხვა და სტომატოლოგთან ვიზიტები ყელის კიბოსგან დაგიცავთ.**

აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც პირის ღრუს ჰიგიენას ყურადღებით ეკიდება, პაპილომავირუსის (HPV) შეყრის ნაკლები ალბათობა აქვს, რომელსაც ყელის კიბოს გამოწვევა შეუძლია. პათოლოგიის გამოსაწვევად ვირუსმა სისხლში პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებული უბნით ან გაფუჭებული კბილიდან უნდა შეაღწიოს. პირის ღრუს ცუდი მდგომარეობა HPV-ინფექციის შეყრის ალბათობას 56 პროცენტით, ღრძილების დაავადებების ინფექციის რისკს 5 პროცენტით, ხოლო კარიესი და კბილების სხვა დაავადებები – 28 პროცენტით ზრდის. ვირუსის შეყრის ალბათობის მატებას ამოღებული კბილების არსებობაც უწყობს ხელს, ისევე, როგორც თამბაქოს მოწევა და ორალური სექსი, ოღონდ მხოლოდ მამაკაცებში. ქალებში კი ეს კანონზომიერება რატომღაც არ დადგინდა.

## ინფორმაცია

### მე-12 კლასელების გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება

**ამის შესახებ ერთიანი ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მაია მიმინოშვილის თქმით, მე-12 კლასელებს ჯერ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება მოუწევთ, რათა შემდგომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღონ მონაწილეობა.**

**გამოსაშვები გამოცდები ორ ნაწილად არის გაყოფილი. მე-12 კლასელები გამოცდას ოთხ საგანში ჩააბარებენ - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში.**

**მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ მე-12 კლასელების საგამოცდო პერიოდი 20 მაისს დაიწყება და 25 მაისს დასრულდება.**

**მისივე თქმით, 20 მაისს მოსწავლეები კომპიუტერთან საგამოცდო პროგრამას გაეცნობიან და ივარჯიშებენ. უშუალოდ გამოცდა 21 მაისს ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაიწყება და ბოლო გამოცდა 24 მაისს მათემატიკაში იქნება.**

**მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ გამოცდებზე იმ მეთორმეტე კლასელებსაც იწვევენ, რომლებმაც შემოდგომის სესიაზე რომელიმე საგანში ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს და მათ ექნებათ შესაძლებლობა, ხელახლა ჩააბარონ ამ საგანში გამოცდა.**



**ამასთან, 25 მაისს იქნება გამოცდა არაქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასელებისთვის ქიმიაში და იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც ქიმიაში ბარიერი ვერ გადალახეს. მეთერთმეტე კლასელებისათვის საგამოცდო პერიოდი 25 მაისს დასრულდება.**

**მიმინოშვილის განცხადებით, რეგისტრირებული მე-12 კლასელების რაოდენობა წელს უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში იყო და 38 000-ზე მეტს შეადგენს.**

**მე-12 კლასელებს საგამოცდო მოსაწვევი ბარათები მაისის ბოლოს დაურიგდებათ. ბარათებში გაწერილი იქნება განრიგი და დრო, თუ როდის უნდა ჩააბარონ საგნებში გამოცდები.**

**ამასთან, მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებულია 36 500 აბიტურიენტი და მათი უმეტესობა მე-12 კლასელები არიან. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ წელს საგნებში მე-12 კლასელებისათვის ბარიერი შეადგენს 5-დან 10 ბალიან შკალას და მოსწავლეებმა გამოცდის ჩასაბარებლად სულ მცირე 5.5 ქულა უნდა მიიღონ, რათა გამოცდა დაძლიონ.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**– ოდესმე გითქვამს ქალისთვის, რას ფიქრობ მასზე?**

**– კი. თუ გინდა, ნაიარევს გაჩვენებ.**

* * *

**– გამარჯობა! რად არ იღებდი ყურმილს?**

**– ტუალეტში ვიყავი.**

**– ორი თვე?**

* * *

**– დედი, დედი, – ყვირილით მივარდება დედას პატარა მიხო, – ჩვენს სამზარეულოში ვიღაცა ბიძია შეიპარა და ჩემს ძიძას კოცნის.**

**დედა სამზარეულოსკენ გაქანდა.**



**– დღეს პირველი აპრილია! – ხარხარებს მიხო. ის ვიღაც ბიძია კი არა, მამაჩემია.**

* * *

**უფროსობას ხშირად უყვარს თქმა, „შეუცვლელი ხალხი არ არსებობსო!“ მაგრამ როგორც კი საქმე შვებულებაში გასვლაზე მიდგება, მორჩა, შენ ერთადერთი და შეუცვლელი ხარ!**

* * *

**– თუ შეიძლება, ყავა და ტორტის ნაჭერი მომიტანეთ, – ხმამაღლა იძახის ქერათმიანი ლამაზმანი.**

**– გოგონი, თქვენ ბიბლიოთეკაში ხართ.**

**– ოჰ, მაპატიეთ, – ჩურჩულზე გადავიდა ლამაზმანი, – ყავა და ტორტის ნაჭერი, თუ შეიძლება.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24